


K 165 928
3

საქართველოს
ბიბლიოთეკის
სამეცნიერო ცენტრი

საქართველოს
ბიბლიოთეკის



სამეცნიერო ცენტრი



მარბოთ თითაძე

ახალწვევა



K165928
8265911

საგ-2000
შემოქმედულია

» ნ ე ქ ე დ ყ ლ ი «

თ ბ ი ლ ი ს ი

1976

ზღაპარი „აბრეშუმა“ მეგობრობის დიდ ძალაზე და სიკეთეზე მოგვითხრობს. ერთი ციციქნა მაყელისთვალემა გოგონა ბუნების დიდი ქომაგი და მეგობარია, ტყისა და ველის ერთგული დამცველია. ბალახი, ყვავილები, ჩიტები, თევზები, ხეები, ნაკადულები მზიარულად ეგებებიან მას. როცა თვითონ აბრეშუმა ჩავარდება განსაცდელში, მეგობრები შველიან.

დანარჩენ პატარ-პატარა ზღაპრებსა და იგავებში დაგმობილია ტრაბახი და პირფერობა, ყოყონობა და უმადურობა, სიზარბე და გაუმადლობა.

საქართველოს
ბიბლიოთეკა

7313

2012

13



ნახავენ, თავებს ზევით აღირღიტებენ, ფოთოლი გვეჭამსო, ეხვეწებიან.

— „ჭიების დედა“... — გაიმეორა მეწისქვილემ და გოგონას პატარა თხელ ხელებს დააცქერდა.

წვიმამ რომ გადაიღო, ბავშვებმა მეწისქვილეს მაღლობა გადაუხადეს და გზას გაუდგნენ. მოხუცმა თვალი გააყოლა კიკინებიან, გაწრიბულ გოგონას, ის ისე მიბაკუნობდა, თითქოს ხის ფეხები აქვსო.

მოხუცი მეწისქვილე განთქმული მეზღაპრე იყო. საღამოობით მასთან, წისქვილში, ზღაპრების მოსასმენად თავს იყრიდნენ სოფლის ბავშვები. იმ საღამოსაც მოვიდნენ. მოხუცმა ფქვილი ჩამოიბერტყა და მოყვა ზღაპარს ერთ პაწაწინა, მაყვლისთვალეა აბრეშუმა გოგონზე.

ა ბ რ ე შ უ შ მ ა

ხვეის პირას, ძველ ქოხში, ცხოვრობდა აშარზე აშარი დედაბერი. ერთხელ, შუალამისას, დედაბერს წკრიალა ხმა შემოესმა:

— გეხვეწები, გამილე კარი, — სთხოვდა გზააბნეული ბავშვი.

— ნეტავი ვინა ხარ, ან ამ შუალამისას რას დაეხეტები? — ჰკითხა დედაბერმა.

— აბრეშუმა გოგო ვარ, ტყეში გზა დამეხნა, ღამე გამათევინე, — შეეხვეწა გოგონა. დედაბერს მოეწონა გოგონას წკრიალა ხმა და თავის სიცოცხლეში პირველად გაუღო მგზავრს კარი.

— უჰ, რა პაწაწინა ხარ! თუ დაგჭირდა ნემსის ყუნწშიც გაძვრები, — უთხრა დედაბერმა.

— ჰო, პაწაწინა ვარ, — ალაპარაკდა გოგონა, — თურმე მოხუცმა მებაღემ თუთის ხის შტოსაგან გამომთალა. მაყვლის თვალეები ჩამისვა და ეს პატარა მოცუცქნული ცხვირი გამიკეთა. მებაღის ცოლმა, მარინე დედამ ყელში თურმე ძაფივით წვრილი ფოლადის სიმი ჩამიღო. ლაპარაკი და სიმ-



ღერა მასწავლა. სიმინდის ქუჩუჩოსაგან ბრჭყვიალა ჩაღის-
ფერი თმები დამიწნა და სახელად აბრეშუმა დამარქვა. რული არავის უსწავლებია. მე თვითონ ავიდგი ფეხი. ძალი-
ან მიყვარს მოგზაურობა. მთელი დღე ტყეში და ღრეში და-
ვეხეტები. ჩემი მეგობარი ჩიტები აწეწილ თმებს მივარცხ-
ნიან ხოლმე. ნაკადულში რომ შევტოპავ, თევზები მეხვევი-
ან და გზას მაჩვენებენ. თუ მომშივდა, ფუტკრები თაფლს
მაჭმევენ. ყვავილები წვენს მასმევენ. როცა დავიღლები, ბა-
ლახები რბილად დამაწვენენ ხოლმე და დამაძინებენ. ხანდა-
ხან შინ გვიან ვბრუნდები. მარინე ღედა მიჯავრდება და შა-
რახვეტიას მეძახის. დღეს გზა დამეზნა, შემომალამდა და აი,
თქვენთან მოვედი. ახლა კი ძალიან მეძინება, — თქვა აბრე-
შუმა გოგომ, იქვე ბუხრის პირას მიწვა და მაყვლის თვალე-
ბი თავისთავად დაეხუჭა.

დედაბერს მოეწონა უცნაური გოგონა. გადაწყვიტა,
აღარ გაეშვა იგი თავის ქოხიდან. კარი მაგრად ჩაკეტა და
თვითონაც იქვე კართან მიწვა.

დედაბრის ტყვეები

აბრეშუმა გოგომ თვალეები რომ გაახილა, ჯერ ისევ
ბნელოდა. დედაბერს პირი დაეღო და ხვრინავდა. გოგონას
ვიდაცა ფეხაკრეფით მიუახლოვდა და ყურში ფრთხილად
ჩასჩურჩულა:

- აბა, ჩქარა, თავს უშველე, თორემ დედაბერი აქედან
აღარ გაგიშვებს.
- შენ ვინა ხარ? — თითქოს მართლა ნემსის ყუნწში
მიძვრებო, ისე გაიწვრილა ხმა აბრეშუმამ.
- მე დედაბრის კიდობნის თავვი ვარ.
- მერე კიდობანში რას აკეთებ?
- დედაბრის პურსა ვდარაჯობ, რომ სხვა თავგებმა არ
შეჭამონ, — მიუგო თავუნამ და მიიმალა.
- დედაბერს ერთი ახირებული ჩვეულება აქვს, — მოისმა
ოთახის კუთხიდან უცნაური ჩურჩული, — თუ ვინმე მოეწო-



ნა, მორჩა, გამოამწყვდევეს თავის ქოხში და გარეთ ცხვირს აღარ გააყოფინებს.

— შენ ვინლა ხარ? — აწრიპინდა ისევ აბრეშუმა.

— მე ციცინათელა ვარ, ერთხელ აქ შემოვფრინდი, დედაბერს მოვეწონე და აღარ გამიშვა.

„უჰ, ეს რა საძაგელი დედაბერი ყოფილა“, — გაიფიქრა აბრეშუმამ და ლოგინიდან მარდად წამოხტა.

— გოგონა, კალათი არ დაგრჩეს, — გაისმა ბუნრის თავიდან წყნარი და საამო ხმა.

— შენ ვინლა ხარ? — გაოცდა აბრეშუმა.

— მე გვრიტი ვარ, უწყინარი. დედაბრის საცოდავი ტყვე.

— მალე უნდა გავშორდეთ აქაურობას, — თქვა აბრეშუმამ. — აბა, მოემზადეთ. მე ფანჯარას გავაღებ და ვიდრე დედაბერს ძინავს, თავს ვუშველოთ. — ფანჯრიდან პირველად აბრეშუმა გადაძვრა. მას ციცინათელა და გვრიტიც მიყვნენ. თავგმა კი ისევ დედაბრის კიდობანს მიაშურა. — მე აქ მირჩევნიაო. პურიცა მაქვს, შაქარიცო, თავში შემოსაკრავიცო.

დედაბრის ქოხს რომ გასცილდნენ, გვრიტი ტყისკენ გაფრინდა. ციცინათელა ბუჩქში შეძვრა და მიიმალა. აბრეშუმამ კი თავის წკრიალა ხმით ასძახა:

— მზეო, მზეო, ცხრათვალა, მე გეძახი, აბრეშუმა გოგო. გეხვეწები, ამოდი ჩქარა, გაანათე ქვეყანა, რომ ჩემი მაყვლის თვალებით კარგად დავინახო შარავზა და ბილიკები.

მზემ თითქოს ისმინა გოგონას ვედრება, შეიშმუშნა ქვეყნის დედა, ოქროს მზექალი და დედამიწაზე სხივები გადმოსტყორცნა.

— სხივებო, სხივებო, სხივარებო, მოდით, გამათბეთ, მომეფერეთ, — ხელებგაშლილი შეეგება აბრეშუმა გოგო მზის სხივებს. მერე წყაროსთან მიიბრინა, პეშვი შეუშვირა და სთხოვა:

— შხეფებო, შხეფებო, გაყინულებო, ნუ იცრემლებით, გამიცინეთ! — შხეფები ხტუნვა-ხტუნვით ცვივოდნენ გოგონას ხელებში და მხიარული დგაფუნით ბანდნენ პირს. და-



იბანა პირი აბრეშუმა გოგომ და თოვლივით გათეთრდა. მთელი
 თეთრ სახეს კიდევ მეტად ამშვენებდა შავი მაყვლის თვა-
 ლები და ჩალისფერი თმა.

ხიზო ბიჭი

გახარებული მიდიოდა აბრეშუმა შინისაკენ, ხან ცეკვაუ-
 და, ხან მღეროდა ყვავილები უღიმოდნენ. ფოთლები ტაშს
 უკრავდნენ. ჩიტუნები უგალობდნენ. უცებ ყვავილები
 კვნესა და ჩიტების შესაბრალისი ჟივილ-ხივილი შემოესმა.
 შეჩერდა და მაყვლის თვალები დააცეცა. ხედავს, რას ხე-
 დავს: ერთი თავკომბალა ხიზო ბიჭი სანადიროდ გამოსულა,
 სქელლანჩიანი, დრაგუნა ჩექმები ჩაუცვამს, პირდაპირ ყვა-
 ვილებზე მოლაჯებს და ქელავს. ხელში მშვილდისარი
 უჭირავს და ჩიტს უმიზნებს.

აბრეშუმა გოგო ხელებში ეცა ხიზო ბიჭს, მშვილდისა-
 რი გამოსტაცა და შორს გადაისროლა.

— მე შენ გიჩვენებ სეირს, — დაემუქრა ხიზო ბიჭი და
 უკან გამოუდგა. ალბათ დაიჭერდა კიდევ და შავ დღეს და-
 აყრიდა, მაგრამ აბრეშუმა გოგო ყვავილებმა გაიტაცეს და
 დამალეს.

იჯდა ყვავილის ძირას აბრეშუმა და ფიქრობდა, ნეტა-
 ვი როგორ მოვერიე ხიზო ბიჭს! როგორ გამოვტაცე მშვილ-
 დისარი! ვინ მომცა ამდენი ძალა და ღონე?!

ხიზო ბიჭის ჩექმით გათელილი ბალახი წელში გასწორ-
 და და წყნარად აბიბინდა:

— გოგოვ, ლამაზხშიანო,
 ნეტავი რა გქვია?

აბრეშუმა გოგო ბალახისკენ გადაიხარა და ჩასჩურ-
 ჩულა:

— ბალახო ნამიანო,
 აბრეშუმა მქვია.

ყაყაჩომაც მოიღერა ყელი და გაიშრიალა:

— გოგოვ, ოქროსთმიანო,
ნეტავი რა გქვია?

აბრეშუმა გოგომ პატარა ფოლადის ზარივით დაიწკრია-
ლა:

— ყაყაჩოვ, ხალიანო,
აბრეშუმა მქვია!

ხის ტოტზე ჩიტმა შეიფრთხილა და ჯჭიკჭიკდა:

— გოგოვ, სახემზიანო,
ნეტავი რა გქვია?
— ჩიტუნიავ, ჩიტუნა,
ოქროსნისკარტიანო,
აბრეშუმა მქვია!

— შესძახა მხიარულად.

— გოგოვ, ენაწყლიანო,
ნეტავი რა გქვია?

— არაკრაკდა ნაკადული.

— ნაკადულო, ნაკადულო,
ცინცხალშხეფებიანო,
აბრეშუმა გოგო ვარ და
აბრეშუმა მქვიაო.

აკისკისდა აბრეშუმა, ამოხტა ყვავილის გულიდან და
გზას გაუღვა.

თუთის ხის შვილოები

მიდიოდა აბრეშუმა გოგო შინისაკენ. შორიდან რაღაც
ბრაგაბრუვი მოესმა. უკან მოიხედა და თავზარი დაეცა. ხი-
ხო ბიჭი თავქუდმოგლეჯილი მოსდევდა.

— ვაიმე, მიშველეთ, — შეჰკივლა აბრეშუმა გოგომ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა. ირბინა, და დაღლილ-დაქანცული ვეებერთელა თუთის ხის ქვეშ ჩამოჯდა.

— ამოდი ზევით, მე დაგმალავ, — გაიშრიალა თუთის ხემ. აბრეშუმა მარდად აცოცდა ხეზე და ორივე ხელი მაგრად შემოხვია. თუთამ ფართო, მწვანე ფოთლებით შემოსა გოგონა, თან ჩასჩურჩულა:

— ნუ გეშინია, აბრეშუმა, შენ თავს არავის დავანებებ, ჩემი შვილობილი ხარო.

ხიხო ბიჭმა ბევრი ეძება აბრეშუმა გოგო, მაგრამ ვერ იპოვა. აბრეშუმა კი თუთის ფოთლების კაბაში გამოწყობილი, მშვიდად იჯდა ხეზე და შორიდან უთვალთვალებდა ხიხო ბიჭს, თან ჩუმად იცინოდა: — ასე მოგიხდება, ჩექმებიანო კაცუნა, მწვანე ბალახს და ყვავილებს რომ ქელავ.

მიეფარა თუ არა თვალს ხიხო ბიჭი, აბრეშუმა ხიდან ჩამოცოცდა და შინისაკენ გასწია. გზად ერთი დაბურული ტყე უნდა გაეველო. მიაბიჯებდა ტყეში და თან მღეროდა:

ვარ ტყის მეგობარი,
ერთი ციცქნა ქალი,
ხეებო, ბუჩქებო,
სალამი, სალამი,
ჩიტებო, გვრიტებო,
სალამი, სალამი...

ტყეში წითელ-ყვითელ სოკოებს თავები წამოეყოთ და გოგონას თავისთან ეპატიჟებოდნენ.

„მარინე დედას ძალიან უყვარს სოკო, დავკრეფ, წავუღებ, გაუნარდება“, — გაიფიქრა აბრეშუმამ.

კრეფდა სოკოს და თან ტიკტიკებდა:

— ქამა სოკოვ, რძიანო,
კობტავ, თეთრქუდიანო.
მჭადა სოკოვ, ყვითელო,
შე უმად შესაჭმელო.

არცა სოკოვ, წვრილფეხა,
მეჩხერკბილებიანო.
ნიევი, ნიევი, წითელი,
სოკოების ბატონო...

კრეფდა სოკოებს, კოცნიდა და კალათში აწყობდა. უცებ ტოტების ლაწაღუწი მოესმა, გაიხედა და მაყვლის თვალე-ბი შიშისაგან კინალამ გადმოუცვივდა. დედა დათვი და ორი ბელი მისკენ მობაჯბაჯებდნენ.

— მიშველეთ, მიშველეთ! — შეჰყვირა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ტყე იყო დაბურული და მისი ხმა შორს არ ისმოდა. აბა, ვინ უშველიდა.

დათვები კი თანდათან უახლოვდებოდნენ. საწყალ აბრეშუმა გოგოს მუხლებში ძალა ელევოდა. არ იცოდა, რა ელონა, საით წასულიყო. თვალეებს აქეთ-იქით აცეცებდა. ფოთოლივით თრთოდა და კანკალებდა. შიშისაგან სულ ერთიანად გალურჯდა და გამწვანდა.

— აქეთ წამოდი, აბრეშუმა, აქეთ წამოდი, — შემოესმა თუთის ხის შრიალი.

„აქაც ყოფილა ჩემი დედობილი“, — გაუხარდა გოგონას და თუთის ხეს მიაშურა. ტოტები ძირს დაიხარნენ, გოგონა ზევით აიტაცეს, ფართო ფოთლები მიაფარეს და დამალეს.

— რა იქნა, სად გაქრა! — გაოცდნენ დათვები. თვალეები საცრისოდენა გაუხდათ. — აი, აქ იდგა, — შემოეხვივნენ ირგვლივ თუთის ხეს.

— შრრ, შრრ, — გაიშრიალა თუთის ხემ და ფოთლები ააშარიშურა.

გაწბილებული დედა დათვი აბურდლუნდა.

— მაყვლისთვალა გოგო გვინდაო! — ატირდნენ დათვის ბელები.

გაუმაკლარი ჭია

აბრეშუმა გოგო თუთის ხეს ეკვროდა და თან ჩასჩურჩულებდა: — გაბრაზებული ხიხო ბიჭი რომ მომდევდა მოსაკლავად, მაშინაც თუთის ხემ მიშველა. ახლა შენ მიშველე,



ჩემო შრიალა, ჩემო ლამაზო დედობილო, — ტოტზე ხელები შემოხვია და დაკოცნა.

— ნურაფერი გედარდება, აბრეშუმა, როცა კი გაგიჭირდეს, თუთის ხე მოძებნე და თავი შეაფარე. ჩვენ ყველგანა ვართ გაფანტული. მიიხედ-მოიხედე და აუცილებლად დავინახავ.

— გმადლობთ, გმადლობთ, — უფრო მაგრად შემოხვია ხელები აბრეშუმამ და ახლა ფოთლები დაუკოცნა. უცებ ერთ პატარა შტოზე ფშატისფერი ჭია შეამჩნია. უნდოდა ძირს გადაეგდო, მაგრამ ჭიას მსხვილი თავი ზევით აეწია და ისე აღირღიტებდა, თითქოს გოგონას რაღაცას სთხოვდა, თან ფოთლებისკენ იწევდა და ვერ წვდებოდა. აბრეშუმამ სწრაფად მოწყვიტა ფოთოლი და ჭიასთან ახლოს მიიტანა. ჭიამ ხარბად დაუწყო ფოთოლს ჭამა. ჯერ ნაპირები შემოდრღნა, ბოლოს სულ შეჭამა. აბრეშუმამ მეორე ფოთოლი მოწყვიტა და მიაწოდა. ჭიამ ისიც სწრაფად შეჭამა, მერე მესამე ფოთოლი მოწყვიტა და მიაწოდა, მერე მეოთხე, მეხუთე...

— ეს რა ღორმუცელა ჭია ყოფილა, ჭამს, ჭამს და ვერა ძღება, — გაოცდა გოგონა. ისე გაერთო, სულ გადაავიწყდა, რომ სოკოებით სავსე კალათა მუხის ძირას დატოვა და შინ მარინე დედა ელოდებოდა. ხიდან ნელ-ნელა ჩამოცოცდა. ის იყო მიწაზე ფეხი უნდა დაედგა, რომ შემოესმა: — აბრეშუმა, მეც წამიყვანე შენთან! — გოგონამ სწრაფად აიხედა ზევით, საიდანაც ხმა ისმოდა. ჭიას თავი დაეხარა და წვრილი თვალებით დასცქეროდა.

— წამიყვანე, გეხვეწები, ოქროსფერ კაბას გაჩუქებ, — ჩამოსძახა ჭიამ. აბრეშუმა ისევ აცოცდა ხეზე, თუთის ფოთლები მოწყვიტა და ჭია ხედ დასვა. ერთ ხელში ჭია ეჭირა, მეორე ხისთვის შემოეხვია და ძირს მოცოცავდა.

ოქროსფერი კარკი

დიდხანს ელოდა აბრეშუმა გოგოს მარინე დედა, რომ აღარ გამოჩნდა, ხელში ჯოხი დაიჭირა და გზას გაუდგა. ბევრი იარა, მთა და ბარი სულ შემოიარა, მაგრამ აბრეშუ-



მას გზასა და კვალს ვერსად მიაგნო. დაღლილ-დაქანცული უკან რომ ბრუნდებოდა, ტყეში სოკოთი სავსე კალათს წამოკრა ფეხი.

— აბრეშუმა, შვილო, აი, შენი კალათი, — დაიძახა მარინე დედამ, — სადა ხარ, ხმა გამეცი. — აბრეშუმა თუთის ხიდან ძლივძლივობით მოცოცავდა. დედის ხმა რომ მოესმა, გაეხარდა.

— აქა ვარ, დედი, აქა, მოდი, მიშველე. ცალ ხელში ჭია მიჭირავს და ერთი ხელით მიჭირს ძირს ჩამოსვლა, — ჩამოსძახა ხიდან.

— აი, შე შარახვეტია, შე მოუსვენარო გოგო, სად გადაიკარგე, — დატუქსა მარინე დედამ აბრეშუმა. თან ხელი შეაშველა და ძირს ჩამოიყვანა.

— ნახე, მარინე დედა, როგორი ჭია ვიპოვე. შენთან წამიყვანე, ოქროსფერ კაბას გაჩუქებო, ასე მითხრა. თუთის ფოთოლი უყვარს. ჭამს და ჭამს, ერთი წუთითაც არ ჩერდება. დიდი ღორმუცელაა. რამდენიც არ უნდა ჭამოს, მაინც ვერა ძლება. წავიყვანოთ შინ, თუთის ფოთოლი ვაჭამოთ, იქნებ მართლა მომიქსოვოს ოქროსფერი კაბა.

— კარგი, წავიყვანოთ. მოვუაროთ, ერთი ვნახოთ, რა კაბას მოგიქსოვსო, — გაეცინა მარინე დედას, სოკოებით სავსე კალათი აიღო და შინისაკენ გაუდგნენ გზას.

აბრეშუმას ხელისგულზე დაედო თუთის ფოთლებში ჩამალული ჭია და ფრთხილად მოყავდა.

ეზოში რომ შევიდნენ, მარინე დედამ სახლის წინ დიდ კაკლის ხეს ახედა და გოგონას უთხრა:

— აბრეშუმა, აი აქ, ამ კაკლის ძირას, პატარა ლასტზე დავევათ შენი ჭია. არც წვიმა შეაწუხებს და არც მზე.

კაკლის ძირას ლასტზე თუთის ფოთლები დაუყარეს და ზედ დასვეს ჭია. მარინე დედამ აბრეშუმას ჭია დაარქვა.

ყოველ დილას და საღამოს აბრეშუმა კალათს ხელს დაავლებდა და ბაღის ბოლოში თუთის ხეებისაკენ გარბოდა. მოკრეფდა ფოთოლს და მიჰქონდა ჭიასთან, აჭმევდა და თან მღეროდა:

დაიბინე, მოისვენე,
აბრეშუმას ჭიაო,
დღე და ღამე ფოთოლს რომ ღრღნი,
ყბები არა გტკივაო?

ჭია თანდათან გაიზარდა, დამსხვილდა. ერთ დილას, როცა აბრეშუმამ თუთის ფოთლით სავსე კალათით ჭიასთან მიირბინა, თვალგაფართოებულმა უკან დაიხია. ჭიას ქსელი გაება და თვითონ შიგ მომწყვდეულიყო.

— მარინე დედა, მარინე დედა, ჩქარა მოდი, ნახე, ჭია იხრჩობაო, — ატეხა ერთი წიოკობა გოგონამ.

— ნუ გეშინია, აბრეშუმა, ოქროსფერი კაბა უნდა მოგიქსოვო, — ნელ-ნელა ამოღერდა ჭიამ. მარინე დედამ დიდხანს უყურა აბრეშუმას ჭიას, მას პირიდან ბეწვივით წმინდა ძაფი ამოსდიოდა და გამაღებით ქსოვდა ქსელს.

— ხელი არ შეუშალოო, — უთხრა ბოლოს მარინე დედამ გოგონას.

ჭიამ მოქსოვა პაწაწინა, კოკროჭინა ოქროსფერი პარკი, თვითონ შიგ გამოემწყვდა და დაიმალა.

— ეს რა ლამაზი საჩუქარი მოგართვა შენმა აბრეშუმას ჭიამ, — უთხრა მარინე დედამ აბრეშუმას და ოქროსფერ პარკსაც აბრეშუმას პარკი დაარქვა.

ცხელი წვიმა

პაწაწინა ოქროსფერი პარკი აბრეშუმას სასთუმალთან ედო. დილით გაიღვიძებდა თუ არა, პარკს ყურთან მიიღებდა. „ნეტავი რას აკეთებს შიგ ჭია“, — ფიქრობდა გოგონა. — დღე და ღამე არ ეძინა. ღრღნიდა და ღრღნიდა თუთის ფოთოლს. დაიღალა საწყალი ჭია. მოიქსოვა თავისთვის პატარა ოქროსფერი პარკი, შეძვრა შიგ და დაიმალა. ახლა კი ძინავს და ძინავს. ვინ იცის, როდის გაიღვიძებს. იქნებ არც გაიღვიძოს და ამოიხრჩოს?

მაგრამ ერთ დღეს ოქროსფერმა პარკმა გული გადაიხსნა და იქიდან პეპელა ამოფრინდა.

— მარინე დედა, მარინე დედა, — აწიოკდა გოგონა. — ჩქარა მოდი აქ. ოქროსფერი პარკიდან პეპელა ამოფრინდა!



— ეს რა საოცრებაა! — თქვა მარინე დედამ და პეპელა ხან აქეთ გაფრინდა, ხან იქით. იტრიალა, იტრიალა, მერე მოხერხებულ ადგილას დაჯდა და სულ პაწაწინა, ერთი ბეწო, მოშავო კვერცხები დაყარა. თვითონ კი სადღაც გაქრა. ბევრი ეძებეს, მაგრამ მის გზასა და კვალს ვერსად მიაგნეს.

გავიდა დრო, კვერცხები ჭიებად იქცნენ. მოხუცმა მებაღემ ლასტები დაწნა, კაკლის ხის ქვეშ დააწყო და ზედ ჭიები დასვა. მარინე დედა და აბრეშუმა გოგო კრეფდნენ თუთის ფოთოლს და უყრიდნენ ლასტებზე. ჭიები კი ისევ დღე და ღამე ღრღინდნენ ფოთოლს. ლასტებიდან განუწყვეტლად ისმოდა შრიალ-შრიალი. ჭიები გაიხარდნენ, დამსხვილდნენ, გააბეს ქსელები, მოქსოვეს ოქროსფერი და თეთრი კოკროჭინა პარკები, თვითონ შიგ გამოემწყვდნენ და დაიმაღნენ. მოხუცი მებაღის ეზო აივსო ლამაზი, ოქროსფერი და თეთრი აბრეშუმის პარკებით. გაიხარა აბრეშუმა გოგომ. სიხარული გულში აღარ ეტეოდა. უნდოდა თავისი მეგობრებისათვის ეჩვენებინა ოქროსფერი პარკები. ერთ დღეს, როცა მარინე დედა წყაროზე იყო წასული, აბრეშუმამ პარკები აიღო, ეზოს კარი გააღო და გავიდა. ჯერ ორ-ღობეებში იარა, მერე ბილიკს გაჰყვა და ტყისკენ წავიდა. იქ თავისი მეგობარი ჩიტუნები ეგულებოდა. უცბად ჩამობნელდა. გოგონამ ცას ახედა. შავი ღრუბლები ფეხდაფეხ მოსდევდნენ უკან, თითქოს ისინიც ტყეში მიდიანო. აბრეშუმამ ფეხი აუჩქარა, მაგრამ ტყეში შესვლა ვერ მოასწრო, რამდენიმე მსხვილი წვეთი თავზე დაეცა.

— ვაიმე, — წამოიძახა გოგონამ, — ეს რა ცხელი წვიმა მოდის. თუ ტყეში შესვლა ვერ მოვასწარი, გავიფუფქებიო. — მივიდა თუ არა ტყესთან, მაყვლის ბუჩქები მისკენ გადმოიხარნენ და აშრიალდნენ.

— მოდი, მოდი, მაყვლისთვალება, რამდენი ხანია გელოდებით, — ეკლიანი ტოტები მისწი-მოსწიეს და შუაში ჩაისვეს, მაგრამ ისეთი ღვართქაფი წამოვიდა, რომ მაყვლის ბუჩქმაც ვერ დაიფარა.

— რა ცხელი წვიმაა, მკლავები და ცხვირი მეწვისო, —



ატირდა გოგონა. ბებერი წაბლის ხის ფულუროდან ციყვმა გამოყო თავი:

— ჩვენთან მოდი, აბრეშუმა, აქ წვიმა არ ჩამოდის.

— აბა, როგორ ამოვიდე ხეზე, ორივე ხელი დაკავებული მაქვს! — ხელები ზევით ასწია და ოქროსფერი პარკები უჩვენა.

— მე ამოგიყვან, — უთხრა ციყვმა. თვალის დახამხამებაში ამოხტა ფულუროდან, თავისი ლამაზი, ფუმფულა კუდი ზევით აიშვირა და პარაშუტივით დაეშვა ძირს. აბრეშუმასთან მიცუნცულდა. რბილ ფუმფულა კუდზე შემოისვა და ზევით ააქროლა. ციყვებმა სტუმარი პაწაწინა შტოს სავარძელზე დასვეს, ფოთოლზე თხილი დააწყვეს და მიართვეს.

— მიირთვი თხილი, აბრეშუმა, ნახე რა გემრიელია, — ეხვეწებოდნენ პატარა ციყუნები. აიღო თხილი აბრეშუმამ, ტეხა, ტეხა და ვერ გატეხა, გამოართვა პატარა ციყვმა თხილი, ნემსივით წვეტიანი კბილები დააჭირა, — ტკაც! — გატყდა თხილი. აიღო ციყუნიათ თხილის გული და აბრეშუმას მიართვა.

— გმადლობთ, — უთხრა გოგონამ. თხილის გული დატეხა და ერთი ციცქნა ნატეხი პირში ჩაიღო.

-- ასე ცოტა რას გეყოფა, — იწყინა ციყვმა.

-- ჯერ ამას შევჭამ, — გაუცინა გოგონამ. — თუ მომეწონა, კიდევ ავიღებ.

მაგრამ ვიდრე აბრეშუმა იმ პაწაწინა თხილის ნატეხს ჭამდა, ციყვებმა სულ შეახრამუნეს.

— ეს რა არის? — თათით გააგორ-გამოაგორა ციყუნიათ აბრეშუმას ოქროსფერი პარკი.

— ეგ ჩემმა ჭიამ მოქსოვა, — უთხრა აბრეშუმამ.

— შიგ რა პაკიპუკობს?

— შიგ თვითონ ჭია ზის, — მიუგო გოგონამ.

— ჭიაა? — წამოყვეს თავები ციყვებმა.

— ჰო, ჭიაა, მაგრამ არ ვიცი, მკვდარია თუ ცოცხალი, — თქვა გოგონამ.

— მოდი, ვითომ ბურთია, გავაგოროთ და გამოვაგო-



როთ, — გაჰკრა ფეხი პარკს სულ პატარა ციყუნამ. აბრეშუ-
მა ზეზე წამოდგა, პარკს ხელი დასტაცა და ესროლა, — აჰა,
დაიჭი, — ციყვმა სწრაფად დაიჭირა და მეორე ციყვს ესრო-
ლა. მეორემ — მესამეს და ასე ისროდნენ ოქროსფერ პარკს
აქეთ-იქით. თამაშში ისე შემოაღამდათ, ვერც გაიგეს. აბრე-
შუმა ციყვებთან ერთად ფულუროში შექვრა და დაიძინა.

აბრეშუმას კაზი

აბრეშუმას მოეწონა ციყვებთან მხიარული ცხოვრება
და რამდენიმე დღეს დარჩა მათთან სტუმრად. მის სახლში
კი დიდი ამბავი მოხდა. ცხელმა წვიმამ ეზოში დაგროვილი
აბრეშუმას პარკი სულ ძაფად აქცია. ამ ძაფსაც მარინე დე-
დამ აბრეშუმას ძაფი დაარქვა.

„ნეტა სად არის ჩემი მაყვლისთვალება გოგონა. ცოცხა-
ლია თუ მკვდარი. იმ ოხერმა ცხელმა წვიმამ ხომ არ გაფუ-
ფქაო“, — ფიქრობდა მარინე დედა და ცრემლსა ღვრიდა.

აბრეშუმას ძაფით მარინე დედამ ძალიან ლამაზი კაბა
მოქსოვა. იმ ქვეყნის დედოფალს ამბავი მიუტანეს, მებალის
ცოლმა ოქროს ძაფისაგან საოცარი კაბა მოქსოვაო.

დედოფალმა ბრძანა, ახლავე აქ მომგვარეთ მებალის
ცოლი და ის კაბაც თან წამოიღეთო.

აბა, რა უნდა ექნა მარინე დედას. აიღო კაბა და ეახლა
დედოფალს. დედოფალს ძალიან მოეწონა ოქროსფერი,
ბრჭყვიალა კაბა, მარინე დედა დაასაჩუქრა და უთხრა:

— ასეთი კაბა არავის მოუქსოვო, არც აბრეშუმის საი-
ღუმლოება გაუმხილო ვინმეს, თორემ სასტიკად დაგსჯიო.

ბოროტი ბაყაყი

დადარდიანებული დაბრუნდა შინ მარინე დედა. არ მოე-
წონა დედოფლის სიხარბე, მაგრამ რა უნდა ექნა. დედოფ-
ლის სიტყვას ვერ გატეხდა. როგორც დედოფალმა უბრძანა,
ისე უნდა მოქცეულიყო. დაღლილ-დაქანცული ტახტზე მი-
წვა და მიეძინა.

— ვაიმე, დედა, მიშველე, — ჩაესმა ძილში აბრეშუმა გოგოს წკრიალა ხმა.

— აბრეშუმა, შვილო, რა მოგივიდა? — წამოხტა ლოგინიდან შეშფოთებული მარინე დედა.

— დედიკო, გეხვეწები, ჩქარა გამიღე კარი. — მთელი ძალით ურტყამდა მუშტებს კარზე გოგონა. — მეშინია, ბოროტი ბაყაყი მომდევს და თმებს მიწეწავს. — მარინე დედამ სწრაფად გააღო კარი და შეშინებული გოგონა გულში მაგრად ჩაიკრა. დიდხანს ეფერებოდა მარინე დედა თავის დაკარგულ შვილს. მაყვლის თვალებსა და ჩაღისფერ თმებს უკოცნიდა.

— ჩემო საყვარელო დედიკო, — ეხვეოდა აბრეშუმა მარინე დედას. — იცი, რამდენი ვიწვალე. ცხელმა წვიმამ კინალამ გამოფუფქა. ჯერ მაყვლის ბუჩქებში შევძვერი და დავნძაღვე, წვიმა იქაც ჩამოვიდა. მერე კეთილი ციყვის ფულუროს შევაფარე თავი. პატარა ციყუნებთან. ბევრი ვითამაშე, ღამეც მათთან გავათიე. ფოთლების ლეიბზე დამაწვინეს. ხის ტოტებზე ხტომა მასწავლეს. მერე შენ მომენატრე და წამოსვლა დავაპირე, მაგრამ ციყვებმა არ გამომიშვეს. როცა ყველამ დაიძინა, ავდექი და ჩუმად გამოვიპარე. ღამე გზა დამებნა. ჭაობში შევტოპე. კინალამ დავიხრჩვი. ბებერ კუს შევეცოდე, ზურგზე შემისვა და ჭაობიდან ამომიყვანა, მაგრამ ერთი თვალეზგადმოკარკლული, შხამიანი ბაყაყი გამომიღვა, — ჩემთან დარჩიო, სულ თავკომბალებს გაჭმევო. მე, რაც ძალი და ღონე მქონდა, გამოვრბოდი. ის კი მომდევდა და მომძახოდა, სულ ერთია ვერსად წამიხვალო. ხანდახან წამომეწეოდა და თმებს მქაჩავდა. შიშისაგან გული კინალამ გამისკდა. შინამდე ძლივს მოვალწიე. მუხლები მიკანკალებდა. ჩემო დედიკო, ამის შემდეგ შენ დაუკითხავად ფეხს არსად გავდგამ, სულ შენთან ვიქნები, — შეჭფიცა აბრეშუმა გოგომ მარინე დედას.

— აჰ, შე შარახვეტიავ, იქნებ ჭკუა ისწავლო, — გაეცინა მარინე დედას.

— ეს რა არის, დედიკო? — იკითხა გოგონამ, როცა ოქროსფერ ძაფს მოჰკრა თვალი. მარინე დედამ დაწვრილებით უამბო, როგორ გადაიქცა აბრეშუმას პარკი ძაფად. — ამასაც აბრეშუმას ძაფი დავარქვიო. აი, ნახე, რა ლამაზ კაბებსა ვქსოვ ამ ძაფისაგან, — გოგონას ლამაზი, ოქროსფერი აბრეშუმის კაბა აჩვენა.

— დედიკო, გეხვეწები, მეც მომიქსოვე ასეთი ლამაზი კაბა, — შეევედრა გოგონა. მარინე დედას გული ეტკინა. თავის საყვარელ გოგონას სურვილს ვერ შეუსრულებდა. ასეთ კაბას ვერავის მოუქსოვდა.

— არა, ჩემო ჭკვიანო გოგო. ასეთი კაბა მთელ ქვეყანაზე მხოლოდ დედოფალს უნდა ეცვას, — უთხრა მარინე დედამ და ამოიოხრა.

დაღონდა აბრეშუმა გოგო. „რატომ უნდა ეცვას აბრეშუმის კაბა მხოლოდ დედოფალს და სხვას არავის? — ფიქრობდა იგი. — ასეთი ლამაზი კაბა ყველა გოგონას მოუხდებოდა. რა დაუშავდება დედოფალს, რომ მარინე დედამ ყველას ასწავლოს აბრეშუმას ჭიის მოვლა და ლამაზი კაბების ქსოვა“.

სარბი დედოფალი

დადარდიანდა აბრეშუმა გოგო. დადიოდა მოწყენილი, დაფიქრებული. ძველებურად აღარ კისკისებდა, აღარ ისმოდა მისი წკრიალა ხმა.

ერთ დილას აბრეშუმა ლოგინიდან აღრიანად წამოდგა. თავზე აბრეშუმას პარკის კოკროჭინა ქუდი დაიხურა და შინიდან ჩუმად გაიპარა. პირდაპირ დედოფლის სასახლისაკენ გასწია, კართან თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ორი დევკაცი იდგა.

— შენ ეი, გაწრიბულო, სად მოძვრებიო, — დაუღრია-
ლეს დევკაცებმა, როცა აბრეშუმამ კარის ჭუჭრუტანაში
შექვრომა დააპირა.

— დედოფალთან მივდივარო, — მიუგო გოგონამ.

— ერთი შენებურად წაჰკარი მაგას თავში წკიპურტი
და გასრისე! — უბრძანა ერთმა დევკაცმა მეორეს.

— აბა, ერთი წამკარი, — გაბრაზდა აბრეშუმა, — ასე პა-
ტარა რომ ვარ, თქვენა გგონიათ, ძალა არა მაქვს?

— წკიპურტს ვერ აცდები, — დაიროხროხა დევკაცმა. ამ
დროს უცებ ნიავემა წამოიქროლა, აიტაცა აბრეშუმა გოგო
და პირდაპირ დედოფლის საძინებელ ოთახის კართან და-
სვა.

— დედოფალო! გეხვეწები გამიღე კარი, — სთხოვა აბ-
რეშუმამ.

— ვინა ხარ ან საიდან მელაპარაკები? — ჰკითხა დედო-
ფალმა.

— აბრეშუმა გოგო ვარ, ნიავეზე ვდგავარ და ისე გელა-
პარაკები, — ზარივით დაიწკრიალა აბრეშუმამ.

დედოფალს მოეწონა გოგონას წკრიალა ხმა და უბრძანა
სეფე ქალებს, კარი გაეღოთ. აბრეშუმა გოგო მარდად შეხტა
დედოფლის საძინებელ ოთახში.

დედოფალი ჯერ ისევ იწვა. მარინე დედას მოქსოვილი
აბრეშუმის ლამაზი პერანგი ეცვა. აბრეშუმა დედოფალს
წინ გამოეჭიმა.

— რა სასაცილო გოგონა ხარ! — გაიღიმა დედოფალ-
მა, — რა გაგჭირვებია, ასე ადრიანად რამ მოგიყვანა?

— დედოფალო, გევედრები, ბრძანე, რომ მარინე დედამ
ყველას ასწავლოს აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობა და
კაბების ქსოვა. რომ ყველა ქალს და ბავშვს ჰქონდეს ლამა-
ზი აბრეშუმის კაბა. სწორედ ისეთი, შენ რომ ვიქსოვს მა-
რინე დედა.

დედოფალი მოიღუშა, წარბები შეჰყარა და ბრძანა:

— ახლავე წაიყვანეთ ეს აბეზარი გოგო და ბნელ სარ-
დაფში ჩააგდეთ, რომ მეორედ აღარ გაბედოს ასეთი სისუ-
ლელის თხოვნა.

სტაცეს ხელი აბრეშუმა გოგოს და ბნელ სარდაფში ჩა-
აგდეს.

„რა ხარბი ყოფილა დედოფალი, რა უსამართლო“, —
ფიქრობდა გოგონა და ცრემლები დაპაღუპით სცვიოდა.

დედა ფუტკარი მაია

სამი დღე და ღამე ბნელ სარდაფში იყო დამწყვდეული
აბრეშუმა გოგო. მეოთხე დღეს ძალა მოიკრიბა, კართან მი-
იჭრა და ყვირილი მორთო:

— მოაშორეთ ქვეყანას ეგ ხარბი და გაუმაძღარი დედო-
ფალი! მაგას რა დააკლდება, რომ ყველა გოგონას მსუბუქი
და ლამაზი აბრეშუმის კაბა ეცვას.

განრისხდნენ მცველები, გამოათრიეს აბრეშუმა გოგო
სარდაფიდან, შეაგდეს საბძელში და ცეცხლი წაუკიდეს.
ახმაურდა ტყე. ხეები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და ღრია-
ლებდნენ:

— არიქათ, არიქათ, ჩვენი ბიჭები იწვიანო.

— მუხაანთ ბიჭები იწვიანო! — აატკაცუნა ფოთლები
რცხილამ.

— არა, წიფლიანთ ბიჭები იწვიან, — გაიშრიალა ბე-
ბერმა თელამ.

— რცხილაანთ ბიჭები იწვიან, — ააწკარუნა წიწვები
ნაძემა.

— ვაი თქვენ დედას, — აროხროხდა ბერმუხა.

ხმაურზე სკიდან სწრაფად გამოფრინდა დედა ფუტკარი
მაია. ხორთუმი გაიწმინდა და შესძახა:

— ნუ გეშინიათ, აქა ვარ! — მერე ცაცხვის ყვავილზე შე-
მოჯდა და ფუტკრებს გასძახა, ყველანი ჩემთან მოდი-
თო. — ჩამწკრივდნენ ფუტკრების ასეულები. ხორთუმები
გაიწმინდეს, წყაროს ცივი წყლით აივსეს და ხანძრის ჩასა-
ქრობად გასწიეს. წინ დედა ფუტკარი მაია მიუძღოდათ.
იგი ქარივით შეიჭრა აღმოდებულ საბძელში, აიტაცა ხელ-

ში აბრეშუმა გოგო, გარეთ გამოიყვანა, ტყეში ფოთლებზე დააწვინა და მზესუმზირას ზეთი წაუსვა. ფუტკრებმა ხანძარი რომ ჩააქრეს, ბერმუხამ უთხრა დედა მაიას:

— ამიერიდან უფლებას გაძლევ, რომელი ხეც მოგეწონება, იქ შესახლდი შენი ჯალაბობითო. — დედა ფუტკარმა მაიამ მაღლობა მოახსენა და უთხრა:

— ჩვენ ისევ ძველ სკაში გვირჩევნია ვიცხოვროთ. იქ ისეთი დარბაზები და ციხე-სიმაგრეები გვაქვს აგებული, რომ მტერი ვერაფერს დაგვაკლებსო.

— რაკი გული ძველი ბინისაკენ მიგიწევს, იყოს ნება შენი. ჩვენ კი გვიბოძებია ეს ახლად გაშენებული ცაცხვნარი. მისი ყვავილების წვენი ტკბილად შეგერგოთო.

ბრძენი ქედანი

აბრეშუმა გოგო დიდხანს იწვა თვალებდახუჭული და ფიქრობდა: „რა უსამართლო და სასტიკი ყოფილა დედოფალი. წავალ და ვუტყვი მარინე დედას აღარ მოუქსოვოს დედოფალს აბრეშუმის კაბა და პერანგი“. ნელა-ნელა წამოდგა ფეხზე, ყველას მაღლობა უთხრა და სახლისაკენ გაუდგა გზას.

მიდიოდა მოწყენილი, დარდიანი.

— აბრეშუმა, კისკისა, რაღა ხარ მოწყენილი? — ჩასჭიკჭიკებდნენ ჩიტები.

— აბრეშუმა, ცქრიალა, რაღა ხარ მოწყენილი? — რაკ-რაკებდნენ ნაკადულები.

— აბრეშუმა, ლამაზო, რაღა ხარ მოწყენილიო? — ყელს უღერებდნენ ყვავილები.

აბრეშუმა გოგო კი ნალვლიანად ღლინებდა:

— მე მინდა, რომ ყველას ჰქონდეს ფარჩის კაბა შრიალა!.

გოგონას სიმღერას ყური მოჰკრა ბრძენმა ქედანმა, მიფრინდა აბრეშუმასთან და უთხრა:

— თუ ვინდა სურვილი შეგისრულდეს, გადაახტი ცისარტყელას. აი, ეს ხავსის ფხვნილი თან წაიღე და ვინც გადაგელობოს, თვალეში შეაყარე.

— როგორ უნდა გადავახტე ცისარტყელას? — დაღონდა აბრეშუმა.

მოიხსნა ქედანმა ფრთები და ათხოვა. სხვა ჩიტებიც მოფრინდნენ. მოიხსნეს ფრთები და ათხოვეს. უთვალავი ფრთა გამოება აბრეშუმა გოგოს და სწრაფად გაფრინდა ცისარტყელასაკენ.

ცი ს ა რ ტ ყ ე ლ ა

წვიმამ გადაიღო.

ცა იყო კამკამა და ლამაზი. მზე იცინოდა. აბრეშუმა კი სულ ზევით და ზევით მიჰქროდა.

ცი ს ა რ ტ ყ ე ლ ა, ცისარტყელა, შენ ყვითელი, მე წითელი, მე მინდა, რომ ყველას ჰქონდეს ფარჩის კაბა ათასფერი.

შესძახა აბრეშუმა გოგომ, ისკუპა და ცისარტყელას ქარივით გადაუქროლა.

გაუკვირდა ცისარტყელას, ეს პაწაწინა გოგო როგორ გადამახტაო!? აბა რა იცოდა, რომ აბრეშუმამ მეგობრების ფრთებით გადაუქროლა.

ცი ს ა რ ტ ყ ე ლ ა, ცისარტყელა, შენ ყვითელი, მე წითელი, მე მინდა, რომ ყველას ჰქონდეს ფარჩის კაბა ათასფერი.

კიდევ შესძახა წკრიალა ხმით აბრეშუმა გოგომ და ახლა უფრო ძალდა გადაიქროლა. გაეცინა ცისარტყელას და ცა გახდა ათასფერი.

— უჰ, რამდენი ფერია! — გაიხარა აბრეშუმამ.

— ცისარტყელავ, მშვენიერო, მაჩუქე ეს ფერები. ყველას, დიდსა და პატარას, კაბა უნდა მოუქარგო! — შეეხვეწა აბრეშუმა. მაგრამ ამ დროს საიდანღაც ცხელი სუნთქვა მოხვდა. გაიხედა და რას ხედავს, ღრმა ხევიდან შავი ურჩხული მოიკლაკნება, თვალეები მუგუზალივით უგიზგიზებს,

ვეებერთელა წითელი ხახა დაუბჩენია და მისკენ მოიწევს. აბრეშუმა არ დაიბნა, ამოიღო უბიდან ხავსის ფხვნილი და ურჩხულს შიგ თვალეებში შეაყარა. ურჩხულმა ერთი საზარლად დაიდრიალა და ორთქლად იქცა. კუპრივით შავი კვამლი ზოლივით გაეკრა ცას.

ცისარტყელავ, მშვენიერო, შენ ყვითელი, მე წითელი, მე მინდა, რომ ყველას ჰქონდეს ფარჩის კაბა ათასფერი.—

ისევ დაიწვრიალა აბრეშუმამ.

— გევედრები, მაჩუქე შენი ლამაზი ფერები.

ცისარტყელამ ელვის ზარს შემოჰკრა, ერთი მაგრად დაჰკვესა და ყველა ფერს ჩამოაფხვნა ცოტ-ცოტა.

— აჰა, კეთილო გოგონავ, წაიღე ეს ფერები. ზოგი წითელია, ზოგი ყვითელი, ზოგიც მწვანე, ლურჯი, ცისფერი, იისფერი... და მოაფრქვიე ქვეყნად.

წამოიღო აბრეშუმა გოგომ ნაირნაირი ფერები და დაბრუნდა შინ. აიღო აბრეშუმას ჭიის თესლით სავსე ყუთი, გაბრუნდა უკან, დააყარა ზედ ცისარტყელას, ცისარტყელამ კი მთელ ქვეყანაზე მოაფრქვია.

გაიგო ეს დედოფალმა და სულ ცოფები ყარა. დაიჭირეთო, ბრძანა, აბრეშუმა გოგო, გამობით ცხენის კუდზე და ნაფლეთ-ნაფლეთად აქციეთო. აბრეშუმა გოგომ ისევ თავის დედობილ თუთის ხეს სთხოვა შველა. თუთის ხემ ისევ შემოსა მწვანე ფოთლებით და დამალა. ბევრი ეძებეს. ცა და ქვეყანა გადააბრუნეს დედოფლის მცველებმა, მაგრამ ვერსად იპოვეს. გაანჩხლდა დედოფალი, ბოროტი თვალეები დააბრიალა.

— ახლავე აქ მომგვარეთ ის აბეზარი გოგო, თორემ სუყველას თავებს დაგაჭრითო.

შეწუხდნენ დედოფლის მცველები. არ იცოდნენ, სად ეძებნათ ეს უცნაური გოგო.

მოხდა სასწაული. დედოფლის უსამართლობით შეწუხებული ჩიტები გუნდგუნდად მიეჭრნენ დედოფალს და ის ხარბი თვალეები ამოკორტნეს. ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. გაიხარა მარინე დედამაც. მოქსოვა და მოქსოვა



აბრეშუმის ლამაზი კაბები. ცისარტყელას ფერებში მკვლევარი დაფებით დააქარგა ზედ ვარსკვლავები, ყვავილები, ჩიტუნები, სოკოები, ბლები და ალუბლები. დაურიგა ბავშვებს და სადღესასწაულოდ გამოაწყო. ყველაზე ლამაზი, ვარსკვლავებიანი კაბა აბრეშუმას ჩააცვა.

* * *

ასე დაამთავრა ზღაპარი მოხუცმა მეწისქვილემ მაყვლისთვალემა აბრეშუმამ გოგონაზე.

— მაშ, გადაახტა ცისარტყელას, — თქვა მეწისქვილის გვერდით ჩაცუცქულმა ბიჭუნამ.

— ჰო, გადაახტა.

— მარტო თვითონ რას გადაახტებოდა, მეგობრები დაეხმარნენ, — წამოიძახა ფქვილში ამოგანგლულმა ბიჭმა, რომელსაც ბავშვები პატარა მეწისქვილეს ეძახდნენ.

— მარტო, აბა, რას განდებოდა, — თქვა მოხუცმა და ყალიონი გააბოლა.

წისქვილი კი რახრახებდა და გულმოდგინედ ფქვავდა ხორბალს.

შაუხა მეთევზე

ოდესღაც ქვეყნად ერთი ჭრელი ძალღი და ერთი შავი კატა ცხოვრობდნენ. ძალღს ცუგო ერქვა, კატას — შაუხა.

ცუგო ყოველდამე, როგორც კი მთვარე ამოვიდოდა, აიღებდა ბადეს, ანკესებს, აიკიდებდა ცარიელ კალათს და სათევზაოდ გასწევდა. დაიჭერდა თევზს, აავსებდა კალათს და დილით ადრე, საუზმეზე, შაუხას ოქროსფერ თევზებს მიართმევდა.

შაუხას თევზი ძალიან უყვარდა. მაღიანად შეექცეოდა, პირს აცმაცუნებდა, თვალებს წკურავდა:

— მიაუ, მიაუ, გმადლობთ! — უხდიდა მადლობას ცუგოს და როცა კარგად გამოძლებოდა, სიამოვნებისაგან კრუტუნს დაიწყებდა:

— რა კარგი ცუგო ხარ, რა კარგი თევზაობა იციო, — ეფერებოდა მეგობარს.

ერთხელ ცუგომ უთხრა შაუხას:

— ჩემო მეგობარო, დღეს რაღაც შეუძლოდ ვარ, თავი ძალიან მტკივა, აიღე ჩემი ბადე, ანკესები, კალათი და წადი, ამაღამ შენ ითევზავეო.

შაუხას ძალიან გაუხარდა. აიღო ბადე, ანკესები, კალათი და გზას გაუდგა. მდინარის პირას რომ მივიდა, ბადე წყალში ისროლა, თვითონ რიყეზე დადგა და თვალედაჭყეტილი დასცქეროდა იმ ადგილს, სადაც ბადე ჩაიძირა. კატის თვალეები ცეცხლივით ანათებდნენ. სინათლეზე ბევრი თევზი მოგროვდა. ბადე სულ აივსო. შაუხამ თევზებით სავსე ბადე თავისკენ მოსწია, მაგრამ თევზებმა გადაძლიეს და გამოუცდელი მეთევზე დაითრიეს.

— მიაუ, მიაუ, მიშველეთ! — საცოდავად დაიკნავლა შაუხამ და, წყალში თათები რომ არ დასველებოდა, ბადეს თავი მიანება.

ბადეც და თევზებიც წყალმა წაიღო.

გაწბილებულმა მეთევზემ ახლა ანკესები ისროლა მდინარეში. ერთ ანკესს ვეებერთელა ლოქო წამოეგო, მეორეს — ოქროსწინწკლებიანი კალმახი. თევზებმა კანაფი დაქაჩეს. შაუხას შეეშინდა, ისევ წყალში არ შემითრიოს და არ დასველდეთ, თოკს ხელი უშვა და თავს უშველა.

ანკესები წყალმა წაიღო.

დარჩა შაუხა მეთევზე ხახამშრალი. ცარიელი კალათი ზურგზე წამოიკიდა და შინისკენ წავიდა. გზაზე ვირი წამოეწია.

— სად იყავი, შაუხავ, ამ შუალამისასო? — ჰკითხა ვირმა.

— სათევზაოდო, — ამოიკნავლა შაუხამ.

— მერე, ცარიელი რად მოდიხარ, მდინარეში თევზი გაწყდაო? — ჩაიცინა ვირმა.

— ეჰ, თევზი კი ბლომად გაება ბადეში, — მიუგო შაუხამ, — მაგრამ წყალში შესვლას მოვერიდე, შემეშინდა, თათები არ დამსველებოდა, ბადეს თავი მივანებე და წყალმა წაიღოო.

— ეჰ, შაუხავ, შაუხავ, კაი დაგემართა, კაი მეთევზე შენა ყოფილხარ! სად გაგონილა, მეთევზე წყალში ფეხის დასველებას მოერიდოსო! — დაიყოყინა ვირმა და თავის გზას გაუდგა.

შაუხა მეთევზე თავის სახლ-კარს რომ მიუახლოვდა, უკვე ინათა. გზის პირას მამალი იდგა და ღებებს ისწორებდა.

— შაუხავ, ამ დალაადრიანად სადა ყოფილხარო? — შეჰყვილა მამალმა.

— სათევზაოდო, — ამოიკნავლა შაუხამ.

— მერე, ეგ ცარიელი კალათი რას წამოიგიკიდა ზურგზე, მდინარეში თევზი გაწყდაო?

— თევზი კი ბლომად მოჰყვა ბადეს, მაგრამ წყალში ფე-

ხის დასველებას მოვერიდე, თევზებით სავსე ბაღეს თავი მივანებე და წყალმა წაიღო.

— ეჰ, შაუხავ, შაუხავ, კაი დაგემართა, კაი მეთევზე შენა ყოფილხარ! — დაჰყვილა მამაძმა, — სად გაგონილა, მეთევზე წყალში ფეხის დასველებას მოერიდოსო, — ერთი მაგრად ჩაუნისკარტა და გაშორდა.

შაუხამ თავის ეზოს ჭიშკარში მორიდებით შეაბიჯა. ხედავს, ცუგოს თავი მაგრად შეუხვევია, ერთ დიდ ლოდზე გაწოლილა და ძხეს მიჰფიცხებია. შაუხა რომ დაინახა, გაუხარდა, წამოდგა და შეეგება.

— რა ჰქენი, ჩემო მეგობარო, თევზი ბლომად დაიჭირეო? — ჰკითხა ცუგომ.

— რა თევზი უნდა დამეჭირა, — ამოიკნავლა შაუხამ. — წყალში კინალამ თათები დამისველდა, ბაღეცა და ანკესებიც წყალმა წაიღო.

— როგორ თუ წყალმა წაიღო! — გაჯავრდა ცუგო და თავის სიცოცხლეში პირველად შეუღრინა მეგობარს. შაუხამ კული აპრიხა, თვალები დააბრიალა და ხმამაღლა დასჩხავლა: — რა იყო, რა მოგივიდა, ცოტა მადროვე, ფაჩუჩებს შევიკერავ, წავალ და ერთი კარგად ვითევზავებო.

— ჰამ, ჰამ, ჰამ, — აყეფდა ცუგო, — შე უქნარავ, შე წუწკო, თევზის ჭამა გიყვარს, ფეხის წყალში დასველება კი გეზარება. ერთი მითხარი, სად გაგონილა ფაჩუჩებით წყალში ტოპვა და თევზაობა. წადი ახლავე, ჩემი ბაღე და ანკესები მომიტანე, თორემ მე შენ გიჩვენებ სეირს, სულ ნაფლეთებად გაქცევო! — გამოუდგა ცუგო შაუხას.

კატამ ძაღლის დაკრეჭილ კბილებს რომ შეხედა, შეემინდა, დაფრთხა და მოუსვა. ცუგო უკან მისდევდა და თან მიჰყეფდა: — ჰამ, ჰამ, ჰამ, ერთი ამ ეშმაკის კერძს, ამ ყალთაბანდ მეთევზეს დამიხედეთ! თევზის ჭამას ვერავინ მოასწრებს, ისე ყლაპავს, ძვალსა და რბილს არ არჩევს, წყალში შეტოპვა კი არა ნებავს, თათები დამისველდებაო!

ამის შემდეგ არიან კატა და ძაღლი ერთმანეთზე გადამტერებულები. როგორც კი ძაღლი კატას დაინახავს, ძველ ვალებს გაახსენებს, გამოუდგება და სულ კუდით ქვას ასროლინებს ხოლმე.

პოჭი მამაცა

იყო ერთი დედა ღორი, ჰყავდა ექვსი გოჭი. ერთს ერქვა ღრუტუნა, მეორეს — ღრუჩუნა, მესამეს — კრუსუნა, მეოთხეს — მძინარა, მეხუთეს — ზარმაცა, მეექვსეს — მამაცა.

დედა ღორი მთელი დღე მთასა და ბარში დაეხეტებოდა, რასაც კი დინგს გაჰკრავდა, ყველაფერს ჭამდა, არ არჩევდა, გემრიელი იყო თუ უგემური. შებინდებოდა თუ არა, გამალებით მიძუგძუგებდა შვილებისაკენ.

გოჭები გზაში ეგებებოდნენ დედას. ჭყვიტინით მისცვივდებოდნენ და ხარბად სწოვდნენ ძუძუს. როცა კარგად გაიტიკნებოდნენ,

ღრუტუნებდნენ,

ღრუჩუნებდნენ,

კრუსუნებდნენ,

ჭყვიტინებდნენ,

ყვიყვინებდნენ...

მერე იქვე, დედის გვერდით მიეყრებოდნენ და დაიძინებდნენ.

ერთ დღეს დედა ღორს გააცვივა. აკანკალებდა, კბილს კბილზე აცემინებდა, თვალები ეხუჭებოდა, კვნესოდა. გოჭები მაინც არ ასვენებდნენ, სწოვდნენ და სწოვდნენ ძუძუს. ერთიმეორეს ეცილებოდნენ, ძიძგილაობდნენ, ჭიდაობდნენ, სულ ყირა-ყირა გადადიოდნენ.

სალამოს, როცა ჩამობნელდა, ღონემიხდილმა დედა ღორმა თავი წამოსწია და მიიხედ-მოიხედა. გოჭებს კარი

ღია დაეტოვებინათ, თვითონ კი პირები დაეღოთ და სვრი-
ნავდნენ.

„მგელი არ შემოვარდეს და შვილები არ შემიჭამო-
სო“, — შეეშინდა დედა ღორს და კარის ჩასაკეტად წამოი-
წია, მაგრამ ღონე არ ეყო, წამოდგომა ვერ შეძლო, მუხლე-
ბი ჩაეკეტა და იქვე დაეცა.

— ღრუტუნა, ღრუტუნა, გენაცვალოს დედა, ადე, კარი
ჩაკეტე! — გააღვიდა უფროსი გოჭი.

— ღრუტ, ღრუტ, ღრუტ! — აღრუტუნდა ღრუტუნა, იღ-
რუტუნა, იღრუტუნა და ისევ ჩაეძინა.

— ღრუჩუნა, ღრუჩუნა, გენაცვალოს დედა, ადე, კარი
ჩაკეტე! — გააღვიდა ახლა მეორე გოჭი.

— ღრუჩ, ღრუჩ, ღრუჩ! — აღრუჩუნდა ღრუჩუნა, იღ-
რუჩუნა, იღრუჩუნა და ისევ ჩაეძინა.

— კრუსუნა, კრუსუნა, გენაცვალოს დედა, ადე, კარი ჩა-
კეტე! — გააღვიდა ახლა მესამე გოჭი.

— კრუს, კრუს, კრუს! — აკრუსუნდა კრუსუნა. იკრუ-
სუნა, იკრუსუნა, — თავიც მტკივა, ფეხიც მტკივაო. — და
ისევ ჩაეძინა.

— მძინარა, მძინარა, გენაცვალოს დედა, ადე, კარი ჩა-
კეტე! — ძლივძლივობით გააღვიდა ძილისგულა გოჭი.

— ჭყვიტ, ჭყვიტ, ჭყვიტ! — აჭყვიტინდა მძინარა, ერთი
მაგრად დაამთქნარა და ისევ ჩაეძინა.

— ზარმაცა, ზარმაცა, ადე, გენაცვალოს დედა, კარი ჩა-
კეტე! — შეეხვეწა ზარმაცას.

— ყვი, ყვი, ყვი! — დააღო პირი ზარმაცამ, გაიზმორ-
გამოიზმორა და ისევ ჩაეძინა.

— მამაცა, მამაცა, ჩემო ნაბოლარა გოჭო, შენ მაინც
ადე, გენაცვალოს დედა, კარი ჩაკეტე! — გააღვიდა ყველაზე
პატარა გოჭი.

— ვიყ, ვიყ, ვიყ! — მარღად წამოხტა მამაცა, — აბა, ერთი
მასწავლე, როგორ უნდა ჩაკეტო, — უთხრა დედას. დე-
და ღორმა რაზა აჩვენა და ასწავლა, ასე გადაკეტეო, მამაცა
მაშინვე კართან მიიჭრა, უკანა ფეხებზე შედგა, აიჭლიკა და
კარი მაგრად ჩაკეტა.



ის იყო ყველამ ჩაიძინა, რომ კარზე ბრახუნი გაისმა

— კარი გამიღე, — ხმამაღლა იძახოდა ვილაცა. დედა ღორმა მაშინვე იცნო, გოჭების მამა მოსულიყო და ის აბრა-
ხუნებდა. წამოდგომა სცადა, მაგრამ თავბრუ დაეხვა, წაბარ-
ბაცდა და იქვე ჩაიკეცა. გოჭებს გახედა, ერთიმეორეს მიხუ-
ტებოდნენ და ტკბილად ეძინათ. არ უნდოდა გაეღვიძებინა,
მაგრამ, აბა, რა ექნა.

— ღრუტუნა, ღრუტუნა, გენაცვალოს დედა. — დაუძახა
უფროს გოჭს, — ადე, კარი გააღე, მამაშენი მოვიდა და
აბრახუნებსო!

— ღრუტ, ღრუტ, ღრუტ! — აღრუტუნდა ღრუტუნა, იღ-
რუტუნა, იღრუტუნა და ისევ ჩაეძინა.

— ღრუჩუნა, ღრუჩუნა, გენაცვალოს დედა, — დაუძახა
ახლა მეორეს, — ადე, კარი გააღე, მამაშენი მოვიდა და აბ-
რახუნებსო!

— ღრუჩ, ღრუჩ, ღრუჩ! — აღრუჩუნდა ღრუჩუნა, იღრუ-
ჩუნა, იღრუჩუნა და ისევ ჩაეძინა.

— კრუსუნა, კრუსუნა, — დაუძახა ახლა მესამეს, — ადე,
გენაცვალოს დედა, კარი გააღე, მამაშენი მოვიდა და აბ-
რახუნებსო!

— კრუს, კრუს, კრუს! — აკრუსუნდა კრუსუნა. იკრუ-
სუნა, იკრუსუნა, — თავიც მტკივა, ფეხიც მტკივაო და ისევ
ჩაეძინა.

— მძინარა, მძინარა, გენაცვალოს დედა, ადე, კარი გა-
აღე, მამაშენი მოვიდა და აბრახუნებსო!

— ჭყვიტ, ჭყვიტ, ჭყვიტ! — აჭყვიტინდა მძინარა, ერთი
მაგრად დაამთქნარა და ისევ ჩაეძინა.

— ზარმაცა, ზარმაცა, ადე გენაცვალოს დედა, კარი
გააღე, მამაშენი მოვიდა და აბრახუნებსო!

— ყვი, ყვი, ყვი! — დაალო პირი ზარმაცამ, გაიზმორ-გა-
მოიზმორა და ისევ ჩაეძინა.

— მამაცა, მამაცა, ჩემო ნაბოლარავ, პაწაწინა გოჭო,
ადე, გენაცვალოს დედა, კარი გააღე, მამაშენი მოვიდა და
აბრახუნებსო!

— ვიყ, ვიყ, ვიყ! — უცებ წამოხტა მამაცა გოჭი, — აბა



ერთი მანვენე, როგორ უნდა გავალო, — უთხრა დედას დედამაც ასწავლა, როგორ უნდა გაელო. მამაცა კარებთან მიიჭრა, უკანა ფეხებზე შედგა, აიჭლიკა, რაზა გადასწია და კარი გაალო.

— ღრუჩ, ღრუჩ, ღრუჩ! — შემოდრუჩუნდა მამა ღორი და ჭყინტი სიმინდის დიდი ტარო შემოიტანა.

— აჰა, მამაცა გოჭო, აილე ეს ტარო, შენთვის მიჩუქნია, — გაუწოდა ჭყინტი სიმინდი მამაცას.

მამაცა ბზრიალასავით დატრიალდა, სიმინდის ტარო ძალიან დიდი იყო, დინგი გაჰკრა და გამოჰკრა.

„ძოღი ერთი ვნახო, რა გემოსია, თუ კარგია, დედიკოს მივართმევ, ავად არის და იქნებ ესიამოვნოსო“, — გაიფიქრა, ერთ მარცვალს პაწაწინა კბილები ჩაასო და რძე გამოადინა. ირგვლივ ჭყინტი სიმინდის საამო სუნი დადგა.

— ოო, რა გემრიელია! — დაიბრაგუნა გულზე პატარა ფეხი მამაცამ. — დედიკოს ნამდვილად არგებს და მორჩებაო.

— ღრუჩ, ღრუჩ, ღრუჩ!...

— ღრუტ, ღრუტ, ღრუტ!...

— კრუს, კრუს, კრუს!...

— ჭყვიტ, ჭყვიტ, ჭყვიტ!...

— ყვი, ყვი, ყვი!...

წამოყვეს თავი სხვა გოჭებმაც.

სიმინდის გემრიელმა სუნმა ყველას თავბრუ დაახვია და კბილები აუკაწკაწა.

— ჩვენც გვაჭამე, ჩვენც გვაჭამე, — მისცვივდნენ მამაცას, გარს შემოეხვივნენ, გაქაჩეს და გამოქაჩეს. მამაცამ ძლივძლივობით დააღწია თავი. თვითონაც ძალიან უნდოდა ერთი-ორი მარცვალი მაინც შეეჭამა, პირი ჩაეტკბარუნებინა, მაგრამ ტარო სწრაფად გაიტაცა და ავადმყოფ დედას მიურბენინა.

— აჰა, დედიკო, ჭყინტი სიმინდი შენა ჭამე, იქნებ გესიამოვნოს და კარგად გახდეთ, — შეეხვეწა დედას.

დედა ღორი ძლივს სუნთქავდა, თვალეები ჩაცვენოდა, ფეხეები უკანკალებდა. შვილებს გადახედა და ნელ-ნელა ამოიღრუტუნა:



— ჩემო გოჭებო, გენაცვალთ დედა, ჭყინტი სიმინდი
თქვენა ჭამეთ, თქვენ რომ დაწყნარდებით, მე გამიხარდება
და მოვრჩებიო.

გოჭები შეწუხდნენ, შერცხვათ თავიანთი საქციელის.
შესცქეროდნენ ავადმყოფ დედას და ცრემლები დაბალ-
პით სცვიოდათ.

— ღრუტ, ღრუტ, ღრუტ...

— ღრუჩ, ღრუჩ, ღრუჩ...

— კრუს, კრუს, კრუს...

— ჭყვიტ, ჭყვიტ, ჭყვიტ...

— ყვი, ყვი, ყვი...

— ვიყ, ვიყ, ვიყ...

აღრუჩუნდნენ,

აღრუტუნდნენ,

აკრუსუნდნენ,

აჭყვიტჭყვიტდნენ,

აყვიყვინდნენ.

დედა ღორის წინ ჩაიჩოქეს, ეხვეწებოდნენ, ევედრებო-
დნენ, ემუღარებოდნენ:

— დედიკო, დედა, ჭყინტი სიმინდი შენა ჭამე, ავად ხარ,
იქნებ წამლად გექცეს და მალე მორჩეო.

ცბიერი მელა და მგელი

მელას და მგელს საზიარო ტყე ჰქონდათ. ყოველ დილას წამოჯდებოდნენ რბილ ხავსზე და ქვეყნის საქმეებს არჩევდნენ.

ერთხელ მგელმა უთხრა მელას:

— მელიავ, ეს ნაცარა კურდღელი იცი, რა ბეჯითი და შრომისმოყვარეა, შვილებსაც ზრდის, მოხუც დედასაც უვლის, ასმევს, აჭმევს, შიგა და შიგ ტყესაც გვის და ასუფთავებსო.

— ჰო, — განაბა თვალები მელიამ. თან ბროლივით თეთრი კბილები დაკრიჭა, — კარგი კურდღელია, ძალიან კარგი, მაგრამ ყურები აქვს გრძელი, კუდი მოკლე, თვალები კი ელამი. ბეწვიც სცვივა, თანაც ბოსტანში კომბოსტოს და სტაფილოს იპარავსო.

— უჰ, რა ყოფილა ეს ნაცარა კურდღელი! — დაიროხროხა მგელმა, — ცისა და ქვეყნის დამაქცევარი, მე კი პატიოსანი მეგონა, ამ ტყეში მაგისი სინსილა აღარ ვნახო!

მეორე დღეს იმავე ადგილას შეხვდნენ ერთმანეთს მელა და მგელი.

— მელიავ, რა ყოჩაღია ეს ციყვი, მთელი დღე ფაციფუცშია, საზრდოს ეზიდება და ზამთრისათვის ინახავს, ობოლ და-ძმასაც ზრდის, შიგა და შიგ ხეებსაც სხლავს, ხმელ შტოებს აცლის, ასუფთავებსო.

— ჰო, — განაბა თვალები მელამ, ბროლივით თეთრი კბილები დაკრიჭა, — კარგი ციყვია, ძალიან კარგი, მაგრამ თავი ერთი ბეწო აქვს, კუდი გაფუძმფულებული, უკანა ფე-



ხები გრძელი, გადარეულივით დახტის ტოტებზე მტოვებს
ლწავს, კაკალსა და თხილს აჩანაგებსო.

— უჰ, რა ყოფილა ეს ციყვი, — დაიროხროხა მგელმა, —
ცისა და ქვეყნის დამაქცევარი, მე კი პატიოსანი მეგონა. მა-
გისი თავი შენთვის მომინდვია, ამ ტყეში ციყვის სინსილა
ალარ იყოსო.

მესამე დღესაც, იმავე ადგილზე შეხვდნენ ერთმანეთს
მელა და მგელი.

— მელავ, რა დაუზარელი ფრინველია ეს კოდალა, —
უთხრა მგელმა, — მთელი დღე მუშაობს, ხეებს ჭია-ლუისა-
გან ასუფთავებს, თანაც ყველა გაჭირვებულ ფრინველს ეშ-
ველება, მკურნალობსო.

— ჰო, — განაბა თვალები მელამ და ბროლივით თეთრი
კბილები დაკრიჭა, — კარგია კოდალა, ძალიან კარგი, მაგ-
რამ ნისკარტი გრძელი აქვს და მაგარი. ხეზე კაკუნი უყვარს,
მაგისგან მოსვენება არავისა აქვს. თანაც საწყალ ჭიაყე-
ლებს ჭამსო.

— უჰ, რა ყოფილა ეს კოდალა, — დაიროხროხა მგელ-
მა, — ცისა და ქვეყნის დამაქცევარი, მე კი პატიოსანი მე-
გონა. ამ ტყეში კოდალას სინსილა ალარ ვნახო.

ასე არჩევდნენ ტყის ბინადართა ბედ-იღბალს ყოველ-
დღე მელა და მგელი.

ერთ დღეს მგელმა ბატკანი მოიტაცა. უცებ საიდანღაც
მელამ გამოყო თავი.

„მაშ, მელა არ ვიყო, თუ ამ ბრიყვს ეს ბატკანი არ და-
ვაგდებინო“, — გაიფიქრა.

— მგელო, მგელო, — დაკრიჭა თეთრი კბილები მე-
ლამ. — არ შეჭამო ეგ ბატკანი, ძალიან უჭკუო თავი აბია,
თანაც, აბა ერთი დახედე, ან ცხვირი რას უგავს, ან პირი,
ბეწვიც სცვივა.

მგელმა შიგ ძირში წააგლიჯა ბატკანს თავი და მელას
გადაუგდო.

— აჰა, მელიავ, ბატკნის სულელი თავი შენა გქონდეს
და ჭკუა ასწავლე! ხორცს მე ვიახლები, ბეწვს კი, ნუ გედარ-
დება, ქარს ვავატანო.

მოცეკვავე დათუკა

მწყემსმა ბიჭებმა ტყეში დათვის ბელი დაიჭირეს და ცეკვა ასწავლეს.

ერთხელ დათუკა ავად გახდა, თავბრუ ესხმოდა, მუხლები ეკეცებოდა. ბიჭები კი არ ეშვებოდნენ, გინდა თუ არა, იცეკვეო. გაჯავრდა დათვის ბელი, და როცა ყველამ დაიძინა, ჩუმად ტყეში გაიპარა. ბალახებში გაგორდა და გამოგორდა. ყველაზე მაღალ ხეზე აცოცდა. იქიდან ქვეყანას გადმოხედა — უჰ, რა კარგი ყოფილა ეს ქვეყანაო! — დაიძინა. საღამომდე სულ ასე იცოცა ხიდან ხეზე, იკოტრიალა მოლზე. ამასობაში მოშივდა კიდეც. გაახსენდა მწყემსები, მათი გემრიელი პურ-მარილი, კინალამ უკან დააპირა გაქცევა, მაგრამ წინ ძელაკუდა გადაუღდა.

— გამარჯობა, დათუკა, რამოდენა გაზრდილხარ, — მიესიყვარულა ძელა, — სად დაიკარგე, თავი რად მოგვანატრეო.

— მწყემსებთან ვიყავი მთაში, ცეკვა ვისწავლეო, — ამაყად მიუგო დათუკამ.

— რაო, ცეკვა ისწავლეო? — გაოცდა ძელა.

— ჰო, ცეკვა ვისწავლეო.

— აბა, ერთი, იცეკვეო! — შეეხვეწა ძელა.

— დაირა გაქვსო? — ჰკითხა დათუკამ.

— არა, დაირა არა მაქვს, მაგრამ აგერ კოდალას ვთხოვთ და დაუკრავსო.

კოდალამ ნისკარტი დასცხო და დასცხო ბებერ წიფელს. დათუკამ დავლური დაუარა. მოვიდნენ ფრინველები, ცხო-



ველები და გოცებულები შესცქეროდნენ მოცეკვავე დათუკას. დათუკა კი ბუქნავდა, იღეთებს აკეთებდა, ყირა-ყირა გადადიოდა.

ცეკვას რომ მორჩა, ყველა წავიდ-წამოვიდა. დარჩნენ მარტო დათუკა და მელა.

— არ მოგშივდა, ჩემო ბიძაშვილო? — ჰკითხა დათუკას მელამ.

— მშია და მერე როგორო!

— სოფლის განაპირას ერთი კარგი ვენახი მეგულება, შენ ჭიშკართან დადექი და თვალყური დაიჭირე, პატრონი არ შემოგვესწროს, მე კი ყურძენს დავკრეფ. მერე დავჯდეთ ამ გრილ ტყეში და გემრიელად ვივანშმოთო.

დათუკას ყურძენი ყველა ხილზე მეტად უყვარდა და გახარებულმა შესძახა: — აბა, ჩქარა წავიდეთ, რაღას ვუცდითო.

ვენახში რომ შევიდნენ, მელამ გააფრთხილა დათუკა: — იცოდე, სულმა არ წაგძლიოს, ყურძენი არ შეჭამო; თორემ ხველა აგიტყდება, პატრონი გაიგონებს, მოვა და ორთავეს მოგვკლავსო.

დათუკამ პირობა მისცა, ყურძენს პირს არ დავაკარებო. ჭიშკართან დადგა და თვალყურს ადევნებდა, პატრონი არ გამოჩნდესო.

მალე ცაზე მთვარე ამოგორდა, არემარე გაანათა. დათუკამ ვენახს გახედა, მთვარის შუქზე ყურძნის მტევნები ქარვასავით კამკამებდნენ. სულმა წასძლია, თავი ველარ შეიკავა, ეცა ერთ ვახს და დამკრახული მტევნები ერთიანად ჩამოგლიჯა. მთელ-მთელ მტევნებს გამალებით იყრიდა პირში. უცებ ისეთი ხველა აუტყდა, არემარე გააყრუა. მელას პირკატა ეცა.

— აჰ, შე მსუნავო დათუკავ, ეგ რა ჰქენი, ყურძენი რადა ჭამე! — გაბრაზდა მელა, — ხედავ, ვენახის პატრონი როგორ მორბის! თავს ვუშველოთ, თორემ ორივეს მოგვკლავსო.

მართლაც, პატრონი თოფმომარჯვებული მათკენ მორბოდა. ესროლა და მელიას შიგ თეძოში გაართყა. დათუკას

კი მარყუჟი მოსდო, ცოცხალი დაიჭირა. თემომომტვრეული
მელა, აბა, სადღა გაიქცეოდა, იქვე ეგდო და საცოდავად
წკმუტუნებდა. ვენახის პატრონმა ორივე დიდ ტომარაში
ჩასვა, ზურგზე წამოიკიდა და გზას გაუდგა.

გამწარებულმა მელამ სული ძლივს მოიბრუნა და და-
თუკას უთხრა:

— შე მსუნაგო, შე ბრიყვო, ხომ გითხარი, ყურძენი არა
ჭამო, თორემ ხველა აგიტყდება-მეთქი, ახლა რაღას შვრე-
ბი? ვენახის პატრონი დაგკლავს, მწვადებს შეწვავს და
შეჭამსო.

რაც მოგივა დავითაო,
ყველა შენი თავითაო.

ჭოტიკო

თურმე როცა ქვეყნად ფრინველები გაჩნდნენ, ჭოტს მერცხალივით კოხტა და ლამაზი თავი ჰქონდა. ხმა საამო და მხედველობაც არ აკლდა, ახლოსაც ხედავდა და შორსაც, დღის სინათლესაც არ ერიდებოდა. სახელად ჭოტიკო ერქვა. მაგრამ ჭოტიკო ძალიან ხარბი და გაუმაძღარი იყო, ყველაფერი თავისად უნდოდა. მთელი დღე კვალდაკვალ დასდევდა ფრინველებს. ცდილობდა, ტოროლასთვის და შოშიასთვის წკრიალა ხმა წაერთმია, მერცხლისთვის — ტკბილი ჭიკჭიკი.

განთიადზე ტოროლა წკრიალ-წკრიალით აიჭრებოდა ცაში, მაღლა ღრუბლებში გალობდა. ჭოტიკოც უკან დაედევნებოდა, უნდოდა ღრუბლებში აჭრილიყო და წკრიალა ხმა მოეტაცა ტოროლასათვის, მაგრამ ფრთები სუსტი ჰქონდა, შუა გზამდეც ვერ აღწევდა და დაღლილ-დაქანცული ძირს ეშვებოდა.

დაიწყებდა შოშია სტვენას და ჭოტიკოც აჰყვებოდა ხოლმე, ცდილობდა იმასავით ესტვინა, მაგრამ კი არ სტვენდა, გაჰკიოდა.

დაიწყებდა მერცხალი ჭიკჭიკს და ჭოტიკოც აჰყვივლებოდა, მერცხალივით ჭიკჭიკი უნდოდა, მაგრამ არ შეეძლო. შურით ბრძაუდებოდა. სიხარბისაგან თანდათანობით იბერებოდა და იბერებოდა. ბოლოს სულ გაიფხორა, თავი გაუსივდა, ხმა გაუმჭახდა, ფრთები დაეშვა, თვალები გადმოეკარკლა, გაბეცდა. დღე ველარაფერს ხედავდა. იქაურობას გაერიდა. სადღაც ტყის სიღრმეში მიიყუწა. დღე ეძინა, ღამე იღვიძებდა და შემზარავი ხმით გაჰკიოდა. მას აქეთ ასე უდროო დროს გაჰკივიან ჭოტები და ღამის მყუდროებას არღვევენ.

რატო ყმუიან მბლები

ოდესღაც, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, გამოქვაბულში ცხოვრობდა ერთი ძუ მგელი. ჰყავდა სამი შვილი. ყველაზე დიდს ხვადიკოს ეძახდა, პატარებს კი—მგელუკებს. ხვადიკო ძალიან უყვარდა დედას, მისი დიდი იმედი ჰქონდა. ყოველდღე კბილებს უღესავდა, მუხლებს უზელდა, ყველაზე მეტ ულუფას აძლევდა.

ლეკვებს მამა არ ჰყავდათ. ძუ მგელი და ხვადიკო სანადიროდ ერთად დადიოდნენ, მგელუკები შინ რჩებოდნენ.

ერთხელ მგელუკები ავად გახდნენ. ბორგავდნენ, ვერ ისვენებდნენ. ძუ მგელი შეშინდა. მეორე დღეს ვერ გაბედა შვილების მარტო დატოვება, ვაითუ ცუდად გახდნენო, და თავის უფროს შვილს უთხრა:

— ხვადიკო, ჩემო მამაცო შვილო, დღეს მარტო უნდა წახვიდე სანადიროდ, იქნებ აქვე ახლომახლო გადააწყდე რამეს, რომ ავადმყოფ მგელუკებს ვაჭამოთო.

ადგა ხვადიკო, კბილები კარგად დაიღესა, თავზე ქუდი მოიგდო და გზას გაუდგა.

იარა, იარა და საკბილო ვერ იშოვა. ამასობაში შემოაღამდა და დედაბერს მიადგა კარზე.

— ღვთისნიერო ადამიანო, იქნებ ღამე გამათევინო, გზად შემომძაღამდაო, — სთხოვა დედაბერს.

— შემოდი, გეთაყვა, დაგვიანებული მგზავრისათვის ჩემი ქოხის კარი მუდამ ღიააო! — შეიპატიჟა შინ მგელი დედაბერმა. წინ ერთი ქილა მაწონი და შოთი პურები დაუწყო.

ლოგინიც იქვე, ბუხრის პირას გაუშალა, ჭამე და მოისვენო.

ხვადიკო მიუჯდა სუფრას და გემრიელად შეექცა. როცა დედაბერმა დაიძინა, ქოხის კუთხე-კუნჭული მოიარა, რაც კი სასუსნავი ნახა, ყველაფერი შეყლაპა. არც დედა გახსენებია და არც ავადმყოფი და-ძმა. სახლი რომ გამოაცარიელა, ჩუმად გაიპარა და ისევ გზას დაადგა. წინ მეცხვარე შემოეყარა.

— გამარჯობა, მეგლო! — მიესალმა მეცხვარე, — ასე უდროო დროს საით გაგიწევიაო!

— ეჰ, შავ დღეში ვარ, — მიუგო ხვადიკომ, — მეგლუკები ავად გახდნენ და საჭმლის საშოვნელად გამოვედიო.

— წელან ერთი თოხლი მომიკვდა, წყაროსთან ვდია, წადი, ზურგზე მოიგდე და წაუღე შენს ავადმყოფ და-ძმასო, — უთხრა მეცხვარემ.

ხვადიკო სწრაფად გაძუნძულდა წყაროსკენ. მკვდარი თოხლის დანახვაზე კბილები აუკაწკაწდა, მიუჯდა გვერდით და სულ ერთიანად გადასანსლა. ძვლებიც კი ისე დატკვირა, ნამცეცი არ დაუტოვებია. არც დედა გაახსენდა და არც ავადმყოფი და-ძმა. კარგად რომ გამოძლა, იქვე მიწვა და მიიძინა.

მზე ჩადიოდა, როცა გამოეღვიძა. მიიხედ-მოიხედა, ძეხორციელი არავინ იყო. წამოდგა და ისევ გზას გაუდგასოფლის ბოლოს ერთ მომაკვდავ ხარს გადააწყდა.

— ეჰ, შე უბედურო ჩემო თავო, ეს ვისი საკბილო გავხდით, — უკანასკნელად ამოიგმინა ხარმა და მოკვდა.

— ოჰო, — გაუხარდა, ხვადიკოს, — ამას კი მოვიკიდებ ზურგზე და შინ წავიღებო. — მაგრამ სულმა წასძლია, ჯერ გემოს გაუუსინჯავო, თქვა, გვერდით მიუჯდა და ვიდრე ძვლებიანად არ დახრა, აღარ მოეშვა. არც მშიერი დედა გაახსენდა და არც ავადმყოფი და-ძმა. ისე გაიპყა, სუნთქვაც უჭირდა და განძრევაც. იქვე მიწვა და ხვრინვა ამოუშვა.

დედა მეგელი ძალიან წუხდა, ჩემს შვილს ხიფათი ხომ არ შეემთხვაო. ძალიძალ გასცქეროდა გზას. ოხრავდა, გმინავდა. გული დარდით აეკსო.

ხვადიკოს კი გემრიელად ეძინა. სიზმარში თოხლსა და ხარის ლეშს ხედავდა.

ღედა მგელს გული დაეღია ამდენი ლოდინით, მეტი ვეღარ მოითმინა, ავადმყოფი ლეკვები უპატრონოდ დაყარა და შარაზე გამოვიდა. იგი ზევიდან გადასცქეროდა გზას, მაგრამ არც მომავალი ჩანდა ვინმე და არც მიმავალი.

შვილის დარღით გამწარებულმა პირი დააღო და საზარლად აყმუვლდა. თავისმა ხმამ თვითონვე შეზარა და გააჟრჟოლა.

ხვადიკოს შემოესმა დედის ყმუილი, ზეზე წამოდგომა მოინდომა, მაგრამ მუცელი მთასავით ადგა და ადგილიდან ვერ დაიძრა. ხმის ამოღება სცადა და სული თან ამოაყოლა.

მშიერ-მწყურვალნი ძუ მგელი და ავადმყოფი მგელუკები მთელი ღამე ყმუოდნენ. დიდხანს ეძახდა გამწარებული ღედა თავის დაკარგულ შვილს.

მეზობლებს ძალიან შეეცოდათ უბედური მგელი. მოხუცმა კურდღელმა და მუდამ მხიარულმა ციყვმა ხელჯოხები აიღეს და ხვადიკოს საძებნელად გასწიეს.

იარეს, იარეს, ცხრა მთა გადაიარეს და გზაზე გაშოტილ, ხარის ლეშით გამოძდარ და მუცელგადმობრუნებულ ხვადიკოს გადაეყარნენ.

— ხი, ხი, ხი! — ჩაიცინა ციყვმა და მოხუც კურდღელს მუჯღუგუნნი ჰკრა, — იმ უბედურ მგელს ეს რა გაუმაძღარი და ხარბი შვილი გაუზრდია. იქ დედასა და პატარა და-ძმას შიმშილისაგან სული სძვრებათ, ამ პირშავს კი იმდენი უჭამია, მუცელი გასკდომაზე აქვსო.

— ეჰ, შე ჭკუამხიარულო ციყუნია, განა ყველაფერზე უნდა იცინო? — ნაღვლიანად მიუგო მოხუცმა კურდღელმა. დაბრუნდნენ უკან კურდღელი და ციყვი.

— შე საწყალო მგელო, რა თავს იკლავ, იმისთანა ღორ-მუცელა შვილი გინდა გყოლია და გინდა არაო, — უნდოდა ეთქვა ბებერ კურდღელს, მაგრამ მშიერმა და გამწარებულმა ძუ მგელმა თვალის დახამხამებაში გაგლიჯა. ციყვმა კი თავს უშველა, იქვე ზეზე აძვრა და იქიდან გადმოსძახა გაბოროტებულ მეზობელს:

— შე სულელო და უსამართლო მგელო, რას ერჩოდი ბებერ კურდღელს, მაგ საცოდავმა შენი გულისთვის ცხრა მთა გადაიარა, შენ კი, ამბავიც არა ჰკითხე, ისე გაგლიჯეო. არც მგელს დაჰყრია ხეირი: კურდღელი ყელში გაეჩხირა, კისერი გაუშეშდა, ვეღარც აქეთ გაიხედა, ვეღარც იქით.

დაძრწიან და დაყმუიან მას შემდეგ კისერგაშეშებული მშიერი მგლები. მარტო სიარულს ერიდებიან. აიყრებიან ხროვა-ხროვად და, თუ რაიმე საკბილოს გადააწყდნენ, იქვე გაგლეჯენ, ვინც უფრო ხარბია და ღონიერი, ის მეტსა ჭამს.

ამიტომაც, რომ გაუმაძღარ და ხარბ ადამიანს, რომელიც ყველაფერს მუცელში იყრის და სხვა არ აგონდება, მგელი ხომ არა ხარო, ეტყვიან ხოლმე.

ფუტკარი და ღათვი

ერთ უღრან ტყეში დედა ღათვი ცხოვრობდა. ორი პატარა ბელი ჰყავდა. ღათვი მთელი დღე საზრდოს საშოვნელად დაძრწოდა, ბელები კი ბუნაგში რჩებოდნენ.

ერთხელ ძალიან დიდი თოვლი მოვიდა. მთა და ბარი სულ ერთიანად გადაბარდნა. ღათვს საჭმლის შოვნა ძალიან გაუჭირდა. ბევრი იხეტიალა, მაგრამ ვერაფერს წააწყდა. ტყის განაპირას, ერთ ფულუროიან ბებერ წიფელში სკა ეგულებოდა, ადგა და იქით გასწია თაფლის საშოვნელად. დაადო თუ არა სკას თათი, იქიდან ზუილით გამოვარდა დედა ფუტკარი და ღათვს ზედ ცხვირზე დააჯდა.

— რას სჩადიხარ, დათუჩავ! — შესძახა ფუტკარმა ღათვს, — ასი შვილი მყავს, ზაფხულში ნაგროვები საზრდო რომ შენ შესვლიაო, ამ შუაგულ ზამთარში რა უნდა ვიშოვო, ახლა არც ყვავილებია და არც ხილი, შვილები ხომ შიმშილით ამომეხოცნენო?

— ეჰ! — ამოიოხრა ღათვმა, — რა ვქნა, რა თავში ქვა ვიხალო, მეც ორი პატარა ბელი მყავს და შიმშილით მეხოცებიან. მთელი დღე დავეხეხებები და ვერაფერი მოვინადირეო.

ამ დროს ღათვს ზურგიდან მონადირე წამოეპარა, მხრიდან ოოფი გადმოიღო და დაუმიზნა. ფუტკარმა დაინახა და მონადირისაკენ ზუილით გაქანდა.

— არ ესროლო! — შესძახა დედა ფუტკარმა, — შვილები ჰყავს გასაზრდელიო, — ეცა და შივ თვალში უკბინა.

მონადირეს თვალთ დაუბნელდა. თოფი კი გავარდა, მაგრამ ღათვს არ მოხვედრია, ასცდა.

გაოგნებული დედა ღათვის წინ მომაკვდავი ფუტკარი დაეცა:



— ვკვდები, დათუჩა, ჩვენი წესი ასეთია: სხვას ვკვდით ჩვენ კი სიცოცხლეს ვეთხოვებით. შენი შვილები შემებრალა, ჩემები კი უპატრონოდ დავეყარე, — ნელი ზუზუნით ამოიგმინა ფუტკარმა. — შენთან ერთი სათხოვარი მაქვს, ნუ ამიწიოკებ ჩემს უბედურ შვილებს, ბუდე არ დაუნგრიო. ზამთრის საზრდო არ შეუჭამო, ცარიელები არ დატოვო, თორემ შიმშილით ამოიხოცებიანო.

დათვს ლაპალუპით სცვიოდა ცრემლები.

— მეც ხომ დედა ვარ და შვილები მყავს, — ამოიოხრა დათვმა, — მართალია მხეცი ვარ, მაგრამ ავსა და კარგს ვარჩევ, მტერსა და მოყვარეს ვცნობო. — მკვდარი ფუტკარი ფრთხილად აიღო და წიფლის ძირას ჩაფლა. მერე სკა შეათვალიერა, საბრალო ობლებს საფრთხე ხომ არსაიდან მოეღიბო და თავის ბუნაგისაკენ გასწია.

ბელები მოუთმენლად ელოდნენ დედას. გამოჩნდა თუ არა დათვი, შემოეხვივნენ, წინა თათები ძაღლა ასწიეს და შეევედრნენ:

— გვშია, გვშია, გვაჭამე რამეო.

— ჰო, გაჭმევთ, ცოტა მოიცადეთ, სული მოვითქვაო, — უთხრა დათვმა შვილებს. თოვლიანი თათები დაიბერტყა და შვილებს გადახედა. ბელები თვალს არ აშორებდნენ დედას.

— აი, აქ, ჩემს წინ დასხედითო, — უთხრა შვილებს. ბელები სწრაფად დასკუპდნენ დედის წინ.

— აბა, კარგად მიყურეთ და რასაც გავაკეთებ, თქვენც იმს გააკეთეთო.

დედა დათვმა წინა თათი პირში ჩაიღო და ლოკვა დაუწყო.

ბელებმაც წინა თათები პირში ჩაიდეს.

— რას მიყურებთ, რატომ არ ლოკავთ? — გაუჯავრდა დედა.

— რატომ უნდა ვლოკოთ თათები? — იკითხეს ბელებმა.

— უკვე დროა, რომ იცოდეთ, — აბურღუნდა დედა დათვი, — ჩვენ, დათვები, როცა დიდი ზამთარია და საჭმელს ვერა ვშოულობთ, ჩვენივე თათებს ვლოკავთ და ამით ვირჩენთ თავსო. აბა, აიღეთ ახლავე თათები, პირში ჩაიდეთ და ლოკეთო.

კალიას გულშემატკივრები

კალია პურის თავთავზე იჯდა და ტიროდა.

— კალია, რა გატირებს? — ჰკითხა ნემსიყლაპიამ.

— ვიტყვებ, აბა რას ვიზამ, — აწრიპინდა კალია, — ერთი-ორი პურის თავთავი მოვსხიპე და ჭიანჭველამ გამომლანძღა: — შე ყაჩაღო, შე მაოხარა, რას ერჩოდი მაგ ჯეჯილსო. თავი რომ ბუს მიგიგავს, ფეხები ჩაღას, ნახტომი კი დევის ჭაღასო. გაჯავრებულ გულზე მინდოდა ჭიანჭველასათვის იმ კოხრო თავზე ერთი მაგრად წამომერტყა, მაგრამ სოროში ჩაძვრა და დამეძალა. ლამის ჩემს გულს შემოვასკდეო, — ისევ ატირდა კალია.

— მერე მაგაზე ტირი? — დაუყვავა ნემსიყლაპიამ. — ჭიანჭველამ რამდენიც უნდა იყბედოს, შენ რომ ლამაზი თავი და შოლტივით ფეხები გაქვს მთელმა ქვეყანამ იცისო.

ხმაურზე ხის ქერქიდან ჭრიჭინამ გამოყო თავი და იკითხა:

— კალია რატომ ტირისო?

— იმ ენამწარე ჭიანჭველას ჩვენი კალია გამოუღანძღავს, — უთხრა ნემსიყლაპიამ. — თურმე ასე აკადრა, შე ყაჩაღო, შე მაოხარა, თავი ბუს მიგიგავს, ფეხები ჩაღას, ნახტომი დევის ჭაღასო.

— ერთი უყურე იმ წელგაწყვეტილ ჭიანჭველას, კალიასთვის რეები უთქვამს, — გაცხარდა ჭრიჭინა. — ჭიანჭველამ რამდენიც უნდა იყბედოს, ჩვენი კალია რომ თავპირ-



მოხატულია და ფეხებიც ლერწმის ღერებს მიუგავს, მთელი
 მა ქვეყანამ იცისო.

ყვავილიდან ფუტკარმა წამოყო თავი.

— მანდ რა ვაივიში გაგიმართავთ, ან მაგ ახტაჯანა კა-
 ლიას რა ატირებსო, — იკითხა ვაოცებულმა.

— იმ ენამწარე ჭიანჭველას საწყალი კალია გაულანძ-
 ლავს, შე ყაჩაღო, შე მაოხარა, შენაო. თავი ბუს მივიგავს,
 ფეხები ჩალას, ნახტომი დევის ჭალასო, და იმიტომ ტი-
 რისო, — ჩაუკიწკიწა ჭრიჭინამ.

— ერთი თქვენც საქმე გამოგლევიათ, ნეტა რას ელო-
 ლიავებით? — გაჯავრდა ფუტკარი, — ან ეგ ლაჯადებული კა-
 ლია რას იწირპლება. აქამდე არ იცოდა, რა თავისა და ფე-
 ხების პატრონიცაა? სხვის ნაშრომსა და ნაოფლარს რომ
 ხეთქავს და ანადგურებს, კაი კაცობააო?

კალიამ ფუტკრის ზუილს ყური მოჰკრა, უცებ წამოენ-
 თო, ტირილს თავი გაანება, ერთი ისეთი ისკუპა, რომ მართ-
 ლა დევის ჭალისოდენა ნახტომი გააკეთა და ფუტკარს გა-
 მოუდგა, — შე შხამიანო ბზუილა, შენლა მაკლდიო. მაგრამ
 ფუტკარმა ფრთები გაშალა, ყვავილებს თავს გადაეველო და
 ზევით-ზევით აფრინდა. მაოხარა კალია კი მიწას და-
 ენარცხა.

ხ ე კ ა კ უ ნ ა

კოდალას ხეკაკუნა დაუძახეს და ძალიან ეწყინა, როგორ მკადრეთო.

— შენგან მოსვენება აღარ არის, მთელი დღე აკაკუნებ, ბარტყები მართო ველარ დამიტოვებია, კაკუნს რომ მოყვები, შიშისაგან ლამის გულები დაუსკდეთო, — უსაყვედურა ოფოფმა.

კოდალამ ოფოფი გულდაგულ აათვალიერ-ჩაათვალიერა და მოახსენა:

— ვმუშაობ, ოფოფო, ვმუშაობ, ხომ არ ვკეკლუცობ და წამდაუწუმ ქოჩორს არ ვისწორებო.

— მიყვეს და იკეკლუცოს ოფოფმა, ქოჩორიც ისწოროს, ამით არც არავის აწუხებს და არც არავის უშლის ხელს, შენ კი მაგ გაუთავებელი კაკუნით ყურები გამოგვიჭედეო, — გამოექიმაგა ოფოფს კაკლის დაბურული ტოტებიდან გვრიტი.

— ეგ ჩრდილო-გრილები ხომ გიყვართ. ხეებს რომ ჭიალუა ახვევია, მკურნალობა არ უნდა? — მიუგო კოდალამ. ამ დროს ხის გახეთქილი ქერქის ქვეშ მსხვილი მუხლუხო შეამჩნია, დასცხო და დასცხო ნისკარტი, კარგა ხანს უკაკუნა, როგორც იქნა, ამოაძვრინა ჭია და სწრაფად გადასანსლა. ოფოფმა უყურა, უყურა, როგორ ბატონკაცურად იჯდა კოდალა ტოტზე. და როგორ გულმოდგინედ იშმენდლა ნისკარტს.

— მკურნალს დამიხედეთ! — ჩაიხითხითა ოფოფმა, —



მუშაობ თორემ, შენც ბუდეებს გვიშენებ და სარჩო-საბადებელს გვიშადავ.

— ნუ მაცდენთ, მომწყდით თავიდან, — გაჯავრდა კოდალა, — შენ თუ ბუდეებს აშენებ და სარჩო-საბადებელს იშადავ, ჩემთვის ირჯები თუ... ემანდ არ მომიყვანო, თორემ შავ ღღეს დაგაყენებო.

ციყვის კული

მწყერს მოსწყინდა ყანაში ცხოვრება, აიბარგა და ტყეში წავიდა. ჯერ კი ძალიან ეამა ტყის სიგრილე. მოჩრდილული, მყუდრო ადგილები. ცივი წყაროები, მაგრამ ძაღვ ისევ კაშკაშა მზე და ღია ცის ქვეშ ყოფნა მოენატრა. თანაც ტყის ბინადარმა მტაცებლებმაც მოსვენება დაუკარგეს. აქედან ძელა უკრეჭდა კბილებს, იქიდან ტურა. ქორი და მიმინოც უთვალთვალებდნენ. მხოლოდ კეთილი კურდღელი მეგობრობდა. ყოველ დილა-საღამოს აკითხავდა, — ნუ გეშინია, მეც მაგ დღეში ვარ. გასწავლი, მაგ მსუნაგებს როგორ დაემალო. ერთხელ კურდღელს მწყერი დაღონებული დახვდა.

— რა მოგივიდა?! — ჰკითხა კურდღელმა.

— თავთავების შრიალი და ყანის სუნი მომენატრა. ალბათ ისე მოვკვდები, ჯეჯილში ვეღარ გავვოგმანდებიო, — შესჩივლა მწყერმა.

— თუ ასე ძალიან მოგენატრა, ადექი და წადი, ვინ გიშლისო.

— როგორ უნდა წავიდე, ფეხები სულ დამეხუთა, ძლივს დავდივარო.

— მე წავიყვან. ზურგზე შეგისვამ და ისე წავიყვანო, — დაამშვიდა კურდღელმა.

— მერე კული რომ არა გაქვს, რაზე მივეყრდნო. აი, ციყვივით აპრეხილი, ფუმფულა კული რომ გქონდეს, მაშინ სხვააო, — ამოიოხრა მწყერმა.

— კუდს ციყვისაგან ვითხოვებ, — დააიძედა კურდღელმა და ციყვთან გაეშურა.

— ციყვო, შენი კუდი უნდა მათხოვო, ძალიან მჭირდებაო, — შეეხვეწა კურდღელი.

— აქაძდე უკუდოდაც კარგად იყავი, ახლა რა მოგივიდა, რა კუდიანობა მოგიჩნდაო, — ჩამოსძახა ციყვმა.

— საწყალ მწყერს ყანაში უნდა დაბრუნება, თავთავები, კაშკაშა მზე და გაშლილი ველ-მინდვრები მოენატრა, აქ ველარ ძლებს. მაგრამ ფეხები დახუთვია, კარგად ვერ დანდის. ზურგზე უნდა შევისვა და ისე წავიყვანო. მისაყრდენად შენი კუდი გვჭირდებაო.

ციყვსაც შეეცოდა მწყერი, მოიძრო კუდი და კურდღელს ათხოვა. კურდღელმა კუდი მიიმაგრა, მწყერი ზურგზე შეისვა და ყანისაკენ გაქანდა. ცხელი დღე იყო. კურდღელი დაოთხილი გარბოდა, ზიფათს არსაით გადავეყარო.

ყანაში რომ მივიდნენ, მწყერი შეფრთხილდა და ძირს გადმოხტა. თავთავებს შორის გაძვრა-გამოძვრა. ძველებურად აჭუკჭუკდა. მერე კურდღელთან მიიბრინა, ციყვის ფუმფულა კუდს მიუაღერსა, — გმადლობთ, ციყვის კუდო, ასე კარგად რომ მომიყვანეო.

დაღლილ-დაქანცული კურდღელი გაოგნებული იდგა და ფიქრობდა: „ეს მწყერი რა დაუნახავი ყოფილა, ყანაში მე მოვიყვანე და მადლობას ციყვის კუდს უხდისო“.

გაარწივებული ქორი

ერთი მოცლილი ქორი ხის ტოტზე შემომჯდარიყო და ჩხიკვსა და კაჭკაჭს ეტრაბახებოდა:

— არწივი ვარო.

— არწივი კი არა, ქორი ხარო, — მიახალა ჩხიკვმა.

— არწივი ვარ, აბა რა ვარო, — არ იშლიდა თავისას ქორი: — არწივსაც მოკაუჭებული ნისკარტი აქვს და მეც. არწივსაც ორი ფრთა აქვს და მეც. არწივსაც ორი ფეხი და თითო ფეხზე ოთხი ბრჭყალი აქვს და მეც.

უცებ ცაში არწივი გამოჩნდა, კამარა შეკრა და პირდაპირ იმ ტოტზე დაეშვა, სადაც ქორი, ჩხიკვი და კაჭკაჭი დაობდნენ.

— რას დაობთ, გასაყოფი რა გაქვთ? — იკითხა არწივმა. აბა, ჩხიკვს ენაზე რა დაადგებოდა? თვალები გადაატრიალ-გადმოატრიალა და სიტყვასიტყვით ჩაუკენჭა:

— ქორი ამბობს, არწივი ვარო. არწივსაც მოკაუჭებული ნისკარტი აქვს და მეცაო, არწივსაც ორი ფრთა აქვს და მეცაო. არწივსაც ორი ფეხი და თითო ფეხზე ოთხი ბრჭყალი აქვს და მეცაო. ჩვენ ვეუბნებით, შენ მაინც ქორი ხარო. არა სჯერა, გინდა თუ არა, არწივი ვარო.

არწივმა ქორს გეზად გახელა და უთხრა:

— ყოჩაღ, ქორო, კარგად გცნობივარ, მაგრამ მაინც რა-ღაც გეშლებაო.

— მაინც რა გეშლებაო? — გაიბღინდა ქორი.

— ის გეშლება, რომ ფრთაც არის და ფრთაც, ბრჭყალიც არის და ბრჭყალიც... ხოლო ნისკარტი წიწილასაც მოღუნული აქვს, — თქვა არწივმა, ფრთა ფრთას შემოკრა და ელვის სისწრაფით აიჭრა ცაში. საქციელწამხდარი ქორი უხმოდ მოწყდა ადგილიდან და საქორეთში დაეშვა.

მოსხერხებული კურდღელი

დედა კურდღელი ბოსტანში წავიდა სტაფილოს მოსაპარად და თავის ბაჭიას დაუბარა:

— ჩემო ბაჭუა, მეღია გვითვალთვალეხს, აქედან ფეხი არ მოიცვალათ. — ბაჭიას მოსწყინდა მარტო ყოფნა, გასეირნება მოუნდა. დაავიწყდა დედის დარიგება. ბუჩქიდან ფრთხილად გამოძვრა და ბოსტნისაკენ წაცანცალდა, დედას შევეგებებო. იქაურობას მშვიდობიანად რომ გასცილდა, გახარებულმა სიმღერა წამოიწყო:

„იმ საძაგელ მეღიას
დავუყენებ თვალს,
ჩუმად გავეპარები,
დავსვამ ხახამშრალს“...

ჩასაფრებულმა მეღამ ბაჭიას სიმღერას ყური მოჰკრა. ერთი ისკუპა და ზედ თავზე დაახტა. სწორედ ამ დროს სტაფილოებით დატვირთული დედა კურდღელი ბოსტნიდან გამოძვრა და დაინახა, როგორ მიაძუგძუგებდა მის ბაჭიას მეღია. სულ დაავიწყდა, რომ თვითონ კურდღელი იყო, ის წყეული კი—მეღია. აიღო და მეღიას მოზრდილი სტაფილო ესროლა. ერთი შიგ ყურის ძირში გაარტყა, მეღიას ყვრიმალნი ძალიან ეტკინა, მაგრამ ბაჭიას პირი მაინც არ გაუშვა.

— მეღიავ, შეეშვი ჩემს ბაჭიას, თორემ აქვე სულს გაცხებინებ, — შესძახა გამწარებულმა დედა კურდღელმა და მეღას ერთი დიდი სტაფილო შიგ თვალში გაარტყა. მე-



ლას სიმწრისაგან თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცვივ-
და. ბაჭიას პირი გაუშვა და კურდღლისაკენ ისკუბა. მაგრამ
დედა კურდღელი არ დაიბნა, ყველაზე დიდი სტაფილო მო-
იმარჯვა და მელას დაბჩენილ პირში ჩაჩარა. მელას სუნთ-
ქვა შეეკრა, მიწაზე გაიშხლართა და ფართხალი დაიწყო.
დედა კურდღელმა ბაჭიას თავში თათი წამოართყა, — შენც
კარგი გასატყეპი ხარ! მაგრამ მაგისი დრო არ არის, სანამ
მელა გონს მოვა, თავს ვუშველოთო.

ო კ რ ო ბ ო კ რ ო ე ბ ი

კაჭკაჭმა თავი არ დაიზოგა, რაც იშოვა და იპოვა, სულ სუფრაზე დაახვავა. მერე სათითაოდ ჩამოუარა ჩხიკვებს, ბოლოქანქალებს, ღობემძვრალეებს, ყვავებს, ჭოტებს... და სადილად მიიწვია.

ყვავმა უთხრა: — იცოდე, შენი კარის მეზობელი შაშვი თუ დაპატიჟე, მე არ მოვალო.

— რატომაო? — გაუკვირდა კაჭკაჭს.

— შაშვი ჩემზე უფრო შავია. თანაც ბუმბული უბრწყინავს და თვალმარდია. წვეულებაში სუფრაზე რომ წამოჯდება, მე აღარავინ შემხედავს. შავი მარტო მე უნდა ვიყო, — ამაყად მიუგო ყვავმა.

ბოლოქანქალამ და ღობემძვრალამაც ბოლოები აიპრიხეს, თუ შაშვი დაპატიჟე, არც ჩვენ მოვალთო.

— თქვენ რაღატომ არ მოხვალთო? — იკითხა კაჭკაჭმა.

— შაშვს გალობა უყვარს, სადაც ის არის, იქ ჩვენ პირმოკუმული ვზივართო.

შეწუნდა კაჭკაჭი, სად გაგონილა, მე სტუმრები მყავდეს და კარის მეზობელი გვერდით არ მიჯდესო. მაგრამ აბა რას იზამდა. თუ ჩხიკვების მამიდა, ყვავი არ მოვიდოდა, არც ჩხიკვები მოვიდოდნენ, არც ბოლოქანქალები და არც ღობემძვრალეები.

შუადღემ რომ მოატანა, მოვიდნენ დაპატიჟებული ფრინველები. სტუმრებმაც და მასპინძლებმაც კარგად მოილხინეს.

მეორე დღით კაჭკაჭმა თვალი რომ გაახილა, შაშვი

უკვე თუთის ხეზე იჯდა და გალობდა. ნაქეიფარ კაჭკაჭს
შაშვის გალობა ძალიან ესიამოვნა.

— რა სულელი ვარ, რომ სხვებს დაუუჯერე და შაშვი
არ დავპატიჟეო, — გაჯავრდა თავისთავზე, ბუდიდან ამოფ-
რინდა, შაშვს გვერდით მიუჯდა, ეშმაკუნა თვალები გა-
დაატრიალ-გადმოატრიალა და ერთი კარგი საყვედურიც
მიახალა:

— შაშვო, ეგრე უნდა მეზობლობა? გუშინ ყველა ფრინ-
ველი ჩემთან იყო სადილად, შენ რატომ არ მესტუმრეო?

— აბა, რა ვიცოდი წვეულება თუ გქონდაო? — მიუგო
შაშვმა.

— შვილებს გეფიცები, — გაჭიმა სიტყვა კაჭკაჭმა, —
შენს ძებნაში ფეხები დამაწყდა და მაინც ვერ გი-
პოვეო.

შაშვმა გაიფიქრა, ნეტავი რას იტყუება ეს კაჭკაჭი, გუ-
შინ მთელი დღე აქ არ ვიყავიო. მერე თავი მალლა აწია და
მკვახედ მიახალა:

— კაჭკაჭო, იცი რას გეტყვი? მაგ ოკრობოკროებს და
მიკიბულ-მოკიბულებს თავი გაანებე.

კაჭკაჭს ეს სიტყვები ჯერ არ გაეგონა, არ იცოდა, რას
ნიშნავდა, წავიდა და ყვავს ჰკითხა:

— ყვავო, შენ ხომ ყოვლის მომსწრე და ყოვლის მცოდ-
ნე ხარ, შენი ხნისა ქვაც არა გორავს ამ ქვეყანაზე, აბა, მით-
ხარი, ოკრობოკროები და მიკიბულ-მოკიბული რას ნიშ-
ნავსო?

— ოკრობოკროები, ოკრობოკროები, — ჩაიყრანტალა
ყვავმა. — მალე სამასი წლისა გავხდები, მაგრამ, გეფიცები,
ეს სიტყვა პირველად მესმისო.

კაჭკაჭი აღვა და ჭოტთან მივიდა.

— ჭოტო, შენ ხომ ბრძენი ხარ და ყველაფერი იცი!
მითხარი, ოკრობოკროები რას ნიშნავსო?

— რაც კი ქვეყნად სიბრძნეა აი, აქ მაქვს დაგროვილი, —
დინჯად გაიქნია დიდი თავი ჭოტმა, — მაგრამ ეგ რაღაც ოკ-
რობოკროები ჯერ არ გამიგია.

კაჭკაჭი ისევ შაშვთან მიფრინდა.

— შაშვო, რომ მითხარი ოკრობოკროებს და მიკიბულ-
მოკიბულებს თავი გაანებეო, რას ნიშნავს, მინდა
დეო.

— ვინც სიმართლეს მალავს და ცდილობს თავის გასა-
მართლებლად ტყუილები მოიშველიოს, ასე ეტყვიან, მაგ
ოკრობოკროებს და მიკიბულ-მოკიბულებს თავი გაანებეო,—
უთხრა შაშვმა, ერთი შეიფრთხიალა და თუთის ფოთლებში
მიიმალა.

კაჭკაჭი კი მთელი დღე ტოტიდან ტოტზე დახტოდა და
დაფიქრებული გაიძახოდა:

— ოკრობოკროებს, მიკიბულ-მოკიბულებს თავი გა-
ანებეო, თავი გაანებეო.

განრისხებული ლოკოკინა

პაწაწინა ლოკოკინას მწიფე მაყვლის ფოთოლზე მოეკალათა. ხანდახან ნიჟარიდან თავს გამოყოფდა და მაყვალს ლოკავდა, — იფ, რა გემრიელია, შენი გულისა! — სიამოვნებისაგან რქებს არხევდა. პირს რომ ჩაიტკბარუნებდა, მერე ისევ ნიჟარაში შეძვრებოდა და მიიძინებდა.

ერთხელ ბავშვები ტყეში მაყვალს კრეფდნენ. იმ ბუჩქთანაც მივიდნენ, სადაც ლოკოკინა თავისი სახლ-კარით არხეინად იყო დასკუპებული. ბავშვებმა ლოკოკინა ვერ დაინახეს და მაყვალთან ერთად სავსე კალათში ჩააგდეს. კალათში ლოკოკინა, ცოტა არ იყოს, ვიწროდ იყო. მწიფე მაყვალი, გიცოცხლია, ბლომად ეყარა, მაგრამ ნიჟარიდან თავს თავისუფლად ვეღარ ყოფდა და განრისხებულმა იყვირა:

— მაგათ მე ვინა ვგონივარ! აქ სად ჩამაგდესო!

ბავშვებმა კალათიდან მაყვალი რომ გადმოყარეს, ლოკოკინა ნიჟარიდან ამაყად ამოიჭიმა. ნემსის წვერივით შავი თვალებიდან სულ ცეცხლებს კვესავდა:

— მაყვალივით უსახლკარო ხომ არა გგონივართ, კალათში რომ ჩამაგდეთო.

მაყვლებს შავი კბილები დაეკრიჭათ და იცინოდნენ:

— უსახლკარონი რადა ვართ? მაყვლის ბუჩქი ჩვენი სახლიც არის და კარიცო. რა მოკლე ჭკუისა ყოფილა ეს ლოკოკინა, ნიჟარაში შემძვრალა და თავისი სახლ-კარის მეტს ვერაფერს ხედავსო.

მოჯირითე კუ

კუ რიყეზე გამოხოსდა. მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო. ახლომახლო რომ ვერავინ დაინახა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გაიქცა და გამოიქცა. გახურებულ ქვიშაზე ფეხები ეწვოდა, თავპირზე სულ ხვითქი გადასდიოდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა, ცდილობდა ნაბიჯი აეჩქარებია.

იქვე ახლოს, ერთი ხავსმოდებული ქვის ქვეშ ხელიკს ეძინა. ხმაურზე თვალი ჰყიჭა და ზევით ამოძვრა. უყურა, უყურა კუს და ჰკითხა:

— კუ ბაკიბაკანო, რა დაგემართა, ბუზანკალმა ხომ არ ვიკბინაო?

— ვვარჯიშობ, იქნებ ჩქარი სიარული ვისწავლოო, — მიუგო კუმ და ისევ გაქანდა და გამოქანდა.

— ეჰ, ბაკიბაკანო, მაგასაც თუ სირბილი ქვიაო?! — ჩაიქირქილა ხელიკმა.

— რას იცინი, რომ იცინი, — გაჯავრდა კუ, — ყველა ზარმაცს, უქნარასა და მაჩანჩალას ასე ეუბნებიან: რა კუსავით მიჩოჩავო. ერთი-ორი ნაბიჯიც რომ წინ წავდგა, ისიც კარვია, მაჩანჩალების გვერდით მაინც აღარ მახსენებენო. — თქვა და ისევ დაიწყო წინ და უკან სირბილი.

ყვავო, ზადი სკოლაში

ბებერი მუხის კენწეროზე ქედანი და ყვავი ერთად შემოსხდნენ. მათ წინ ძალიან ლამაზი ხეობა იყო გადაშლილი. ქედანმა ჰკითხა ყვავს:

— ყვავო, ამქვეყნად ყველაზე ლამაზი რა არისო?

ყვავი არც დაფიქრებულა, თავი ამაყად ასწია და მიუგო:

— ყველაზე ლამაზი ამქვეყნად ჩემი ბახალააო.

„ეს ბელაყური ყვავი თავის ბახალასავით ბრმა ყოფილა, — გაიფიქრა ქედანმა, — აბა, რატომ ვერ ამჩნევს, რომ მისი უღინღლო, ლაფშმოხეული და თვალქუთალა ბახალა საძაგელი დასანახია“.

— ყვავო, ყველაფერზე გემრიელი რაღააო? — ჰკითხა ისევ ქედანმა.

— ლეში, — მიუგო ყვავმა.

ქედანს გააჟრჟოლა — ლეშის მყრალი სუნი გაახსენდა.

— ჭყინტი ყველის ყლაპვაც ხომ გიყვარსო? — გაეხუმრა ქედანი.

— ჭყინტი ყველიც მიყვარს, მაგრამ ლეში მირჩევნიაო, — მიუგო ყვავმა.

„ამ ყრანტალას პირი ნამდვილად მოკალული აქვს“, — გულში გაივლო ქედანმა.

— ყვავო, ერთი შეკითხვა კიდევ მაქვსო, — უთხრა ქედანმა, — ყველაზე კარგად რომელი ფრინველი გალობსო?

ყვავმა არც აცივა, არც აცხელა, მიახალა, — მეო. ისეთი ძლიერი ხმა მაქვს, ერთს რომ დავიჩხავლებ, ბულბულიც კი ჩუმდებაო.

„რა გამოყრუებული ყოფილა ეს ყვავი, — გაიფიქრა ქედანმა. — კარგსა და ავს ერთმანეთისაგან ვერ არჩევსო!“

თავის პასუხებით დიდად კმაყოფილი ყვავი კი შედიღურად იჯდა.

„არა მგონია ამ ხეპრე თავში რამე შევიდეს, მაგრამ ჭკუა მაინც უნდა დავარიგო“, — გადაწყვიტა ქედანმა.

— ყვავო, წადი სკოლაში! სწავლა სიკვდილამდეო, — ურჩია ქედანმა.

— სკოლაში რა მინდა? — იწყინა ყვავმა.

— ქვეყნის ავ-კარგში რომ გაერკვე, ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლო... — მიუგო ქედანმა.

აბეზარი სტუმარი

— მცოვა, მცოვაო, — დაბზუოდა შემოდგომის ბუზი-
თბილ თავშესაფარს ეძებდა. გზაზე ხარი შეამჩნია, გაქანდა-
და ყურის ძირზე მიაჯდა, ფეხები ღრმად ჩაარჭო და ერთი-
მწარედ უკბინა.

— რა კარგი ყური ჰქონია ამ ხარს, როგორი თბილი, —
შვებით ამოისუნთქა ბუზმა. ხარს ეჩოთირა ბუზის დაჯ-
ღვარკული, ცივი ფეხები და ბინძური ცხვირ-პირი, თავი
გაიქნია და შებღავლა:

— ბუზო, ბუზო, ბუზანკალო! თავიდან მომწყდი, თორემ
სულ კუდით ქვას გასროლინებო.

„ამ ხარმა რამდენიც არ უნდა აქნიოს თავი, აქედან მაინც
არსად არ წავალო“, — გაიფიქრა ბუზმა.

— შენ გეუბნები, მომწყდი თავიდან, — ისევ შეჰბღავლა
ხარმა და კუდი იმ ყურისაკენ გამოიქნია, სადაც ბუზი აჯდა.
ბუზს შეეშინდა, ამ შლეგმა ხარმა მეორედაც რომ მოიქ-
ნიოს კუდი, ალბათ აქვე გამსრესსო და თავს უშველა. იქვე
მახლობლად ცხენი იდგა, ახლა იმისკენ გაქანდა და იმასაც
ზედ ყურის ძირას მიაჯდა, ფეხები ღრმად ჩაურჭო და
ერთი უკბინა კიდევ. ცხენმა თავი გაიქნ-გამოიქნია და და-
იფრუტუნა:

— ბუზო, ბუზო, ბუზანკალო, შე ბინძურო, თავიდან
მომწყდი, თორემ სულ კუდით ქვას გასროლინებო!

ბუზმა გაიფიქრა, „ამ ცხენმა რამდენიც უნდა იქნიოს
თავი აქეთ-იქით და იფრუტუნოს, მე აქედან წამსვლელი-
არა ვარ.“

— შენ გეუბნები, მომწყდი თავიდან, — ისევ დაიფრუტუნა ცხენმა და კუდი იმ ყურისაკენ შემოიქნია, სადაც ბუზი იჯდა. ბუზს შეეშინდა, ცხენმა ეს გრძელი კუდი მეორედაც რომ მოიქნოს, აქვე გამსრესსო და თავს უშველა. ბევრი იბზუილა აქეთ-იქით, ხან ვის დააჯდა და ხან ვის. აბეზარი სტუმარი ყველამ იფრინა. ბოლოს ერთ უზარმაზარ ცხოველს გადააწყდა. იმ ცხოველს გრძელი ხორთუმი და კარგად მოზრდილი ყურები ჰქონდა.

— ეს ხომ სპილოა, — იცნო ბუზმა და მარჯვენა ყურში ღრმად შეცოცდა. თბილი და მყუდრო ადგილი მონახა. თავის დაჯღვარკული ფეხები მაგრად ჩაარჭო. ერთი მწარედ უკბინა კიდევც, მაგრამ სპილოს წარბიც არ შეუხრია. ასე დაიზამთრა შემოდგომის ბუზმა სპილოს ყურში. გაზაფხულზე ისევ გარეთ გამოფრინდა. „აქედან ისე როგორ უნდა წავიდე, სპილოს თავი არ მოვაჩვენო“, — გაიფიქრა ბუზმა. გაქანდა და სპილოს წინ აბზუილდა:

— ეს ზამთარი შენ ყურში თბილად გავატარე, ხან გიკბინე, ხან გიჩქმიტე, ხანაც ფეხი გაგკარიო.

სპილომ ჰკითხა:

— ვინა ხარო? შენი არც შემოსვლა გამიგია და არც გასვლაო, — და ერთი ისეთი ამოისუნთქა, რომ ბუზი გააქრო.

ციყვი და ყვავი

ციყვი ზამთრისთვის ტყეში სოკოს აგროვებდა, ასუფ-თავებდა და ეკლებზე აცვამდა გასახმობად. ციყუნიებიც ეხმარებოდნენ დედა ციყვს. ტოტიდან ძირს მოხერხებულად დახტოდნენ, სოკო ხეზე აჭქონდათ და სადაც კი ეკალს შეამჩნევდნენ, ზედ წამოაცვამდნენ. ამ ხტომა-ხტომაში ყველაზე პატარა ციყუნას ფეხი აუცდა, ერთ მოზრდილ ქამა სოკოს წამოედო და ძირს გადააგდო.

— თვალები სადა გაქვს? — გაუჯავრდა დედა ციყვი და სოკოს ასაღებად თვითონვე ისეუპა ძირს. ის იყო სოკოს დასწვდა, რომ ზევიდან ყრანტალი შემოესმა. ციყვმა მარდი თვალები აქეთ-იქით დააცეცა და დაინახა: ხის კენწეროზე ყვავი შემომჯდარიყო, პირი დაელო და ჩხაოდა.

— რა თავს დაგეჩხავი, შე ყრანტალავ! — გაჯავრდა ციყვი.

— კი არ დაგეჩხავი, შენზე და შენს შვილებზე მეცინება, წაღმა-უკუღმა რომ დაცუნდრუკობთ, თითქოს რაღაც დიდ საქმეს აკეთებდეთ.

— როგორ თუ დაცუნდრუკობთო? — შეეკამათა ციყვი. ყვავმა გაბრაზებული ციყვი რომ დაინახა, ისევ აგდებულად აყრანტალდა:

— მაინც რად გინდათ ამდენი სოკო და თხილი, სად უნდა შეინახოთ, ყურებში ხომ არ ჩაიწყობთო?

ციყვი ხეზე ავიდა, ერთი-ორი ისეუპა და ყვავს წინ გამოეჭიმა:

— აი, შე ყვაო, ყვაო, ყვანჩალა, აქ იმისთვის მოჩანჩალდი, რომ მუშაობაში ხელი შეგვიშალო? ყინვა რომ მოუჭერს, შენსავით ღობე-ყორეს არ მოვიდებით და სხვისი ნაალაფავის იმედით არ ვიქნებითო! — მოიოხა გული ციყვმა. ყვავს ზურგი შეაქცია და საქმეს მიუბრუნდა.

ქალბატონი ტურანდუსტი

ტურამ მთელი ღამე იწანწალა, მაგრამ კბილის წამოსაკრავს ვერაფერს გადააწყდა. დაქანცული და დამშეული ხანდახან თავს ზევით ასწევდა და ცივი ხმით გაჰკიოდა. ტყის ნაპირს რომ გასცდა, ინათლა კიდევ. იქ, სოფლის მახლობლად, ქათმების ფერმა ეგულებოდა, ფერმას გარშემო შემოუარა, ერთგან მორყეული ღობე შეაძინია, ფიცარი გასწია და იქვე ჩაცუცქდა.

ბევრი ღოდინი არ დასჭირვებია, მალე ქათმებიც გამოუშვეს. ერთი აყლანწული ყვინჩილა ფრთების ფათქუნით მოაწყდა ამძვრალ ღობეს. თავი გამოყო თუ არა, ტურამ პირი სტაცა და იქვე შესანსლა. ახლა მეორე ყვინჩილა გამოქანდა კისრისტეხით ღობისკენ. ტურამ იმასაც სტაცა პირი და იქვე გაგუდა. ყვინჩილას ვარიკა მოყვა ფეხდაფეხ და ცნობისმოყვარე თავი ღობეში გაყო. ტურამ იმასაც აუგო წესი. მერე ორივე თავის სოროსკენ გააქანა. ასე შეეჩვია ტურა ამ ფერმას. მუცელი ყელამდე ამოიყორა. გასუქდა, გასისინდა. მაგრამ ერთ დღეს საიდანლაც სოროში მელა გამოეცხადა.

— ტურიკელა, სად დაიკარგე, რომ ველარსად გხედავ? — მიუალერსა მელამ, თან იქვე დაყრილ თეთრ ყვინჩილებს გადახედა. ტურამ თავი მაღლა აწია და მელას შეუღრინა.

— ვინ არის შენი ტურიკელა, შე ავყია და წუწკო. მე ქალბატონ ტურანდუსტს მეძახიან. დაიხსომე, მელაკუდავ, და სხვებსაც გადაეციო.

მელამ თვალები მოწკურა და გაბღენძილ ტურას ცერად
გადახედა, მერე კბილებში წვრილად გამოსცრა:

— ქალბატონო ტურანდუხტ! დღეს მგლის დაბადების
დღეა, გთხოვა, მესტუმრეო. ეგ თეთრი ყვინჩილებიც არ
დაგავიწყდეს, ხელის დასამშვენებლად დაგჭირდება.

ტურას სიბრაზისაგან თვალებიდან ნაპერწკლები გად-
მოსცვივდა, უნდოდა მელას ყელში სცემოდა და მოეხრჩო,
მაგრამ მგელს რომ ყური მოეკრა, ტურას ჩემთვის ყვანჩა-
ლები დაენანაო, ამ არემარეზე აღარ ედგომებოდა.

— გადაეცი მგელს, რომ აუცილებლად ვეახლებიო. —
ხელ-ხელა ამოდერლა გაბრაზებულმა ტურიკელამ.

— ნახვამდის, ქალბატონო ტურანდუხტ! — ჩაიცინა: მე-
ლიამ და სოროდან გაცუნცულდა. ტურა ნაღვლიანად და-
ყურებდა თავის ნადავლს. გამწარებული, საქციელწამხდა-
რი, ახლა იმასლა დარდობდა, ნეტავი ფერმის გარღვე-
ული ღობე არავინ შეამჩნიოს, თორემ მიაჭედებენ, მერე წა-
დი და უყარე კაკალი. ეს ცერცეცა ყვინჩილები თავს ვერსა-
იდან გამოჰყოფენო.

უ მ ა ლ უ რ ი

— ვაიმე, ვკვდები, — დაიძახა დედა კაჭკაჭმა, — ეს რა ნამცეცი ავკენკე, მგონი, შხამიანი იყო. — ბარტყი პირდაღებული შესცქეროდა დედას. დედას კი კისერი მოეღრიცა, თვალები გადანაბა და მიწაზე უსულოდ დაეცა. პატარა უსუსური ბარტყი ობლად დარჩა. არც დედა ჰყავდა, არც მამა. მაგრამ მის გვერდით ყოველთვის იყვნენ კეთილი ფრინველები. ისინი ზრდიდნენ, უზიარებდნენ თავის ბარტყებისათვის მოტანილ ლუკმას, მფარველობდნენ, წვრთნიდნენ.

— კაჭუნა (ასე ეძახდნენ ბარტყს), ხომ გშია? — მიფრინდებოდა დედა ჩხიკვი და დაღებულ პირში გემრიელ ლუკმას ჩასჩრიდა.

— კაჭუნა, ხომ გშია? — ახლა ოფოფი გაეხმაურებოდა და უნაწილებდა თავისი ბარტყების ლუკმას. ასე დასტრიალებდნენ თავს და ზრდიდნენ ფრინველები ობლად დარჩენილ კაჭუნას. ის კი ამ სიკეთეს არაფრად ავდებდა. რომ წამოიჩინა, შაშვებმა და მერცხლებმა ფრენა ასწავლეს. კარგად გაწვრთნეს და გაუშვეს. ფრთები და ნისკარტი რომ გაუმაგრდა და დამოუკიდებელი ცხოვრება შეძლო, კაჭუნა გაიფხორა, გამედიდურდა, ალმაცერად დაუწყო ყურება ფრინველებს.

— ვის რა გაუკეთებია, მე თვითონ გავზარდე ჩემი თავით, — მიახლიდა სწრაფად, თუკი ვინმე ამაგს შეახსენებდა.

ალარ ახსოვდა უსუსურ, პატარა ბარტყს ფოთლების შრიალისაც რომ ეშინოდა და კეთილი ფრინველები თავს ევლებოდნენ, აჭმევდნენ, ასმევდნენ, საკუთარ მხრებზე ისვამდნენ და ფრენას ასწავლიდნენ.

კიდობნის თაგვი

წრუწუნა ოთახში შეიპარა და ახალი გამომცხვარი პურის გემრიელი სუნი ეცა. მიიხედ-მოიხედა და ერთი ყუთი ეუცხოვა. ამ ოთახში სხვა დროსაც ყოფილა, მაგრამ ეს ღამისი. ყუთი არ უნახავს. წრუწუნამ ყველა კუთხე-კუნჭულში შემოიბინა. ყველგან დაყნოსა. პურის გემრიელი სუნი სწორედ ამ ყუთიდან ამოდიოდა.

— უნდა შევძერე ამ ყუთში, — გადაწყვიტა გუნებაში. — მაგრამ საიდან. ერთი პატარა ღრიჭოც არსადაა, წავალ დედას კკითხავო!

დედა თაგვმა მაშინვე იცნო ყუთი.

— შე, სულელო წრუწუნა, ეს ხომ კიდობანიაო.

— კიდობანი რაღაა? — გაუკვირდა წრუწუნას.

— კიდობანში გამომცხვარ პურს ინახავენო, — უთხრა დედა თაგვმა.

— შიგ შესვლა არ შეიძლებაო? — იკითხა წრუწუნამ.

დედა თაგვმა კიდობანს ვახედა. ამაყად იღვა კონტად გამოჩარხულ ფეხებზე ახალთახალი კიდობანი.

— ეჰ, — ამოიოხრა დედა თაგვმა. — ახალ კიდობანში შეძრომა არც ისე იოლია. წავიდეთ, გავეცალოთ აქაურობასო.

შუალამისას სათაგვეთი უცნაურმა წრუწუნმა შეაშფოთა.

— კიდობნის პური მინდაა, გემრიელი სუნი მომდის! — ტიროდა წრუწუნა.

— ახლა ამ ჭირვეულ წრუწუნას რაღა დააწყნარებს, —

თქვა დედა თავკმა. — იქნებ კიდობნის თავკმა გვიშველოს, კიდობნის თავკვი დიდად დაოსტატებული იყო ამ საქმეში, თითქმის ყველა კიდობანში ჰქონდა თავი ამოყოფილი. კიდობნის თავკვიც ამიტომ შეარქვეს.

სოროს თავში კიდობნის თავკვი გამოჩნდა, ჩასუქებული, გასისინებული ნელ-ნელა მოძვრებოდა.

— მაშ, კიდობნიდან ახალი გამომცხვარი პურის სუნი გამოდის? — იკითხა და უღვაშები ააცმაცუნა, აღმასებივით აღესილი, თეთრი კბილები გააღრჭიალა.

— გამოდის და მერე როგორ, საწყალ წრუწუნას თავბრუ დაახვია, — უთხრა დედა თავკმა.

— ახალი კიდობნის გაღრღნა ადვილი არაა, მაგრამ მოდი, ყველამ ერთად შევეუტიოთ, ის გაბერილი მუცელი გამოვუღრღნათ და მერე სულ ჰარიჰარალო ვიძახოთ, ახალი პური ვჭამოთ, — გამხიარულდა კიდობნის თავკვი.

ნაშუალამევს დაიწყო კიდობანზე შეტევა. თავკვები კიდობანს სწორედ იმ მხრიდან ღრღნიდნენ, სადაც ხაფანგი იყო დადებული.

— ტრახ, — გაისმა მოულოდნელად ხაფანგის მჭახე ხმა და კიდობნის თავკვი პირველი გაება მახეში.

— თავკვებო, მიშველეთ, — აწრიალდა, აქეთ მიაწყდა, იქით მიაწყდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მშველელც აღარავინ იყო. თავკვები დაფრთხნენ და სწრაფად გაშორდნენ იქაურობას.

გაჭირვეულებული, სულელი წრუწუნა კი ისევ წრუწუნებდა, — კიდობნის პური მინდაა, გემრიელი სუნი მომდის!..

მკვლევარა ბაყაყები

ჭაობში ორი შხამიანი ბაყაყი ცხოვრობდა, ერთი ჭაობის თავში იჯდა, მეორე — ბოლოში. საღამოთი რომ დაიწვებდნენ ყიყინს, დილაძდე არ ჩერდებოდნენ.

— ყი, ყი, ყი, ყი... მე რომ არ ვიყო, არც ეს ჭაობი იქნებოდაო, — იბღინძებოდა ერთი.

— ყი, ყი, ყი, ყი... — აყიყინდებოდა ახლა მეორე, — მე რომ არ ვიყო, ეს ჭაობი სულ ამოშრებოდაო, — ასე კვჩხნი-თა და ბაქიბუქით აჭარებდნენ დროს.

ერთ დღეს ჭაობს საბარგო მანქანები მოადგა, მშენებლებმა შიგ ხრეში და ქვიშა ჩაყარეს და ჭაობი ამოაშრეს. ბაყაყები მშრალზე დარჩნენ.

— ყი, ყი, ყი, ყი, — ყიყინით იქაურობა გააყრუეს, — არიქათ, არიქათ, ქვეყანა იქცევაო.

ბაყაყებმა უწყლოდ დიდხანს ვერ გაძლეს, ძალა დაკარგეს და სულიც აღმოხდათ.

მშენებლებმა ჭაობი სულ ერთიანად ამოაშრეს, საბავშვო ბაღისათვის ლამაზი სახლი ააგეს და სახლის წინ ბაღი გააშენეს.

კურდღელი და მისი ადგილ-მამული

— ბოსტანში წავიდეთ, ჩვენი ადგილ-მამული უნდა ვაჩვენო, — უთხრა ბაჭიას დედა კურდღელმა.

ბოსტანში ექვსი კვალი იყო ჩამწკრივებული.

— კარვად დაიხსომე, აი, ეს ორი კვალი ჩვენია, — ანიშნა ორ განაპირა კვალზე დედა კურდღელმა. — ეს ოთხიც — ჩვენი სახლიკაცების, ცანცარასი და ბანცალასი.

დედა-შვილი თავის კვალზე ერთ ქორფა კომბოსტოს მიუცუცქნენ და გემრიელად ახრამუნებდნენ. უცებ დედა კურდღელმა გზაზე კაცი დაინახა, მხარზე თოხგადებული ბოსტნისაკენ მოდიოდა.

— აბა, ახლა გვეყოფა, ჩქარა აქედან მოვცოცხოთ, თორემ შავი დღე დაგვადგებაო, — უთხრა ბაჭიას დედა კურდღელმა და ბოსტნიდან ფაცხაფუცხით ვაცვივდნენ.

როცა სამშვიდობოზე გავიდნენ, ბაჭიამ ჰკითხა დედას:

— შენ არა თქვი, დედი, ჩვენი ადგილ-მამულიაო?! რატომ შეგეშინდა, ასე ფაცხაფუცხით რად ვამომაქცუნეო?

— შე სულელო, — ყური მოიფხანა დედა კურდღელმა, — ადგილ-მამული კი ჩვენია, მაგრამ ბოსტნის პატრონი ფხ თოხიანი კაციაო.

ცხენის ძალა

მდინარის პირას ბედაური დავარდნილიყო და სულს დაფავდა. საიდანღაც თავუნა გამოძვრა, მომაკვდავი ცხენის წინ მუხლებზე დაეცა და შეევედრა:

— შენ ხომ კვლები, კვლები, ეგ შენი ძალა მე მომეცით.

— შე სულელო, წრუწუნავ, — ძლივძლივობით ამოიფრუტუნა ცხენმა, — ჩემი ძალა რომ მოგცე, ვიცი შენი ამბავი, წინ ვილა დაგიდგება, მთელ ქვეყანას გადახრავო.

ის იყო კუდამოძუებული წრუწუნა იქაურობას გაშორდა, რომ საიდანღაც ერთი ტალახში ამოსვრილი ღორი შორუტუნდა. მომაკვდავი ცხენი რომ ნახა, თვითონაც კვხესა და ოხვრა დაიწყო:

— შენ ხომ კვლები, კვლები, გვეედრები, შენი ძალა მე მომეო!

— შე სულელო, ღრუტუნავ, — ამოიგმინა ცხენმა, — ჩემი ძალა რომ მოგცე, შენი ამბავი ვიცი, მაგ ბინძური ღინვით მთელ ქვეყანას გადაჩიქნო!

გაწბილებული ღორი გზაზე მიღრუხუნებდა, რომ საიდანღაც ერთი დაღეული ტურიკელა გამოძვრა. მომაკვდავ ბედაურს წინ ჩაუცუცქდა და თავი საცოდავად მოიკატუნა:

— ერთი საწყალი ქერივ-ოხერი ვარ, ობლებს ძლივძლივობით ვზრდი. ყველა მე მჩაგრავს. — აქვითინდა, ცხარე ცრემლები გადმოღვარა. — შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, — შეახტა მკერდზე მომაკვდავს, კისერზე თათები შემოხვია, — შენ ხომ კვლები, ეგ შენი ძალა მე მომეცით.

— დამეკარგე აქედან, შე ურცხვო, ყველას მესუფ-

რიაჲ, — გაჯავრდა ცხენი. ძლივს მოიცილა ყელზე ტუჩი და
ვით მიკრული ტურიკელა.

— ჩემი ძალა რომ მოგცე, შენი ბილწი ენის ამბავი ვი-
ცი, მთელ ქვეყანას წაბილწავ და ააქოთებო!

ტურიკელამ ცხენი სულ ერთიანად დადორბლა.

— მდინარეჲ, — გევედრები, — მიმართა ცხენმა მდინა-
რეს, — მაპკურე სახეზე წყალი, ჩამომბანე. ამ უზნეომ სულ
დამდორბლაო.

მდინარემ ტალღები გადმოისროლა, ცხენს ცინცხალი
წვეთები მიაფრქვია, დორბლი ჩამობანა და გაასუფთავა.

მომაკვდავმა ბელაურმა თავი ძლივძლივობით წამოსწია
და ერთხელ კიდევ გახედა მდინარეს, რომელსაც ზევიდან
მზე დაჰკაშკაშებდა. ოქროსფერი სხივები მის ტალღებში
ათასფრად ელავდნენ და ბრჭყვიანობდნენ.

მომაკვდავი ცხენის მიმქრალ თვალებში წუთით სიხა-
რულის სხივი აკიაფდა:

— მდინარეჲ, ჩემო კარგო მდინარეჲ, — გაჭირვებით
ამოიფრუტუნა სულთმობრძავმა, — ჰა, წაიღე ჩემი ძალა,
შენთვის მიჩუქნია, ცეცხლად აქციე და ქვეყანა გაანათეო.

საკრეპი

აბრეშუმა	3
შაუხა მეთევზე	25
ვოჭი მამაცა	28
ცბიერი მელა და მგელი	33
მოცეკვავე დათუკა	35
ჭოტიკო	38
რატომ ყმუიან მგლები	39
ფუტკარი და დათვი	43
კალიას გულშემატკიერება	45
ხეკაკუნა	47
ციფვის კული	49
გაარწივებული ქორი	51
მოხერხებული კურდღელი	52
ოკრობოკროები	54
განრისხებული ლოკოინა	57
მოჯირითე კუ	58
ყვაკო, წადი სკოლაში	59
აბეზარი სტუმარი	61
ციფვი და ყვაკი	63
ქალბატონი ტურანდუხტი	64
უმაღური	66
კიდობნის თაგვი	67
მკვეხარა ბაყაყები	69
კურდღელი და მისი ადგილ-მამული	70
ცხენის ძალა	71

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთათვის

რედაქტორი ნ. ჩირაძე
მხატვარი ე. აბოკაძე
მხატვრული რედაქტორი ვ. ყავლაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვ. პირველი
კონტროლიორ-კორექტორი ლ. სულთანისხილი
კორექტორი თ. შინდაგორიძე
გამომშვები ნ. კაკაშვილი

გადაეცა ასაწყობად 7/V-76 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VIII-76 წ.
ანაწყობის ზომა 6×9
ქაღალდის ზომა 60×84¹/₁₆
ნაბეჭდი თაბახი 4,42
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2,62
ტირაჟი 10.000, შეკვ. № 1603
ფასი 13 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მარჯანი-
შვილის ქ. № 5.

Издательство «Накадули», Тбилиси,
ул. Марджанишвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომ-
ცემლობათა პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის
წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. № 7.

Тбилисская книжная фабрика Государствен-
ного комитета Совета Министров Грузинской
ССР по делам издательств, полиграфии и
книжной торговли, пр. Дружбы № 7

Томадзе Марго Александровна
ШЕЛКОВОЕ ПЛАТЬЕ
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1976

პვირუასო მკითხველო!

გთხოვთ მოგეწეროთ თქვენი აზრი
ამ წიგნზე

ჩვენი მისამართია:

თბილისი, ვაჟა ფშაველას ქროსპ. № 15.
„ნაკადულის“ საბავშვო წიგნის სახლი.

2115/10

